სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 8 ივლისი 2004 №155 (2176) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ქართველი!

YES

თქვა შემონდ უილიამსმა და იტალიაში ქართული პასპორტის ასაღებად მიდის

გადაწყდა! შემონდ უილიამსი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანთან შესახვედრად იტალიაში ჩავა, სადაც, სავარაუდოდ, მიიღებს კიდეც ქართულ პასპორტს და ჩვენს ეროვნულ ნაკრებში ჩაირიცხება. ეს ამბავი წუხელ გადაწყდა, ვლადიმერ სტეფანიამ უილიამსისგან საბოლოო თანხმობა მიიღო და ...შემთხვევისა გამო ამის მომსწრე ჩვენც შევიქენით. საქმე ისაა, რომ წუხელ სტეფანიას რომ შევეხმიანეთ, გვთხოვა, ცოტა ხანში გადმომირეკეთ, შემონდ უილიამსს ველაპარაკები, საბოლოო პასუხი უნდა მითხრასო. ცოტა ხანში და ცოტა ხნით კი ვოვას მეშვეობით უილიამსს ჩვენც გავესაუბრეთ...

— შემონდ, თქვენი საბოლოო პასუხი გვაინტერესებს...

— დღეს გადავწყვიტე, იტალიაში მივდივარ, სადაც თქვენი ფედერაციის პრეზიდენტს შევხვდები და ყველაფერზე მოვილაპარაკებთ.

— რატომ დათანხმდით საქართველოს ნაკრებში თამაშს, გვაინტერესებს თქვენი მოტივაცია...

— ფულს თუ გულისხმობთ, ასე არ არის, საქართველოს ნაკრებში გასამდიდრებლად არ მივდივარ. მე მიყვარს კალათბურთი, დიდ პატივს ვცემ ვლადს, ზაზას და „სკიტას“ და მათი თხოვნით მივდივარ იტალიაში.

— იქ ჩვენს ნაკრებთან ერთად ივარჯიშებთ?

— ერთი კვირის წინ მცირე ტრავმა მივიღე, ფეხი ამომიბრუნდა და შესაძლოა, არ ვივარჯიშო. სტეფანიამ მითხრა, იტალიაში ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტს შეხვდები და ალბათ საბუთებზე ხელის მოწერა მოგიწევსო.

ეს იყო და, ჩვენს რესპონდენტად ისევ სტეფანია იქცა...

— დღეს ბესიკ ლიპარტელიანმა პრესკონფერენციაზე თქვა, შესაძლოა, სტეფანია არ ჩამოვიდეს, მუხლი აწუხებსო...

— მუხლი ბოლომდე ჯერ არ მომირჩენია, სრული დატვირთვით ვერ ვვარჯიშობ. იტალიურ შეკრებამდე დრო კიდევაა და ვნახოთ.

— თუ არ ჩამოხვალ, შემონდ უილიამსს ვინ წამოჰყვება?

— უკვე შეთანხმებულები არიან, იტალიაში ფაჩულია და უილიამსი ერთად მიდიან. თუ გამოვჯანმრთელდი, მეც მათ გავყვები.

ირაკლი პერტაია

ძალიან, ძალიან ბევრი კილომეტრი

დინამო გზადაგზა ვარჯიშობს

„დინამო“ — „ზალცბურგის“ მატჩს „ევროსპორტზე“ ბევრმა ქართველმა გულშემატკივარმა უყურა და ალბათ ყველამ ერთი დასკვნა: თამაშიც და ანგარიშიც „დინამოსთვის“ სასირცხვილო იყო. საინტერესოა ისიც, რომ ზალცბურგელებმა აქამდე ხუთი ამხანაგური მატჩი გამართეს და ერთხელაც ვერ იმარჯვეს, თანაც ამ ხუთ მატჩში სულ სამი გოლი გაიტანეს, ანუ ერთით ნაკლები, ვიდრე „დინამოსთან“ შეხვედრაში. ავსტრიელები 0:3 დამარცხდნენ მეორე ბუნდესლიგელ „უნტერჰახინგთან“, 2:3 — არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრებთან და 1:3 რუსულ „ზენიტთან“, „სპარტასთან“ და „სატურნთან“ კი ნულოვანი ფრე იყო. „ზალცბურგს“ არც თავისი ლიდერი, ავსტრიის ნაკრების წევრი როლან შარნერი ჰყავდა. თუმცა ავსტრიელების სატკივარი ჩვენ ნაკლებად უნდა გვადარდებდეს და ისევ ჩვენს „დინამოს“ მივხედოთ.

უცნაურია, მაგრამ გერმანულ შეკრებაზე „დინამო“ ლამის სულ გზაშია. შვეიცარიაში წინ და უკან მგზავრობაზე 12 საათი დაიხარჯა, საავსტრიოდ კი 20 საათი სჭირდებათ. ზალცბურგამდე გზას „დინამო“ 5 საათს ანდომებს. ბუნებრივია, ეს ფაქტორი თამაშის ხარისხზეც აისახა.

„დინამო“ გერმანიაში 27 ფეხბურთელით გაემგზავრა, ტურნირების მთელი სიმძიმე კი 18-ფეხბურთელზე გადადის, რომელთაგანაც ახალი სახე მხოლოდ კანკავაზე ითქმის. კაშიას „დინამოში“ ადრეც უთამაშია.

დარჩენილ ცხრა ახალგაზრდა დინამოელს საწვრთნელი პროცესიც შეუბრკოლდა, ვინაიდან იმის ნაცვლად, რომ რუიტში მაინც რჩებოდნენ და ვარჯიშობდნენ, დანარჩენ დინამოელებთან ერთად მოგზაურობენ.

„დინამოს“ მესამე მეკარეს გიორგი თოთლაძეს, ვინც ამავდროულად საქართველოს ნაკრების კანდიდატიცაა, თავის გამოჩენის შანსი ერთხელაც არ მისცემია. ჰოდა საკითხავია, სად უნდა გამოიცადონ და მოემზადონ მთავარი გუნდისთვის ახალგაზრდა დინამოელები, თუ არა შეკრებაზე?!

არსებობს აზრი, რომ „დინამო“ თამაშებს მძიმე დატვირთვების ფონზე ატარებს და უფერული თამაშის მიზეზიც ესაა, მაგრამ აქაც იმედგაცრუება გველის. რამდენიმე დინამოელმა, მათ შორის ახალგაზრდებმაც კი დაიჩივლეს, რომ ფაქტობრივად უვარჯიშებლები არიან, ზოგიერთს კი წონაც მოემატა.

ერთადერთი სანუგეშო „ბაზელის“ ძლევაა, მაგრამ ნურც აქ ვიჩქარებთ დასკვნების გაკეთებას: შვეიცარიელებს შეკრება სულ ხუთი დღის დაწყებული ჰქონდათ, ნაკრების 6 ფეხბურთელი აკლდათ და „დინამოსთან“ მატჩი მათთვის პირველი სპარინგი იყო.

უეფას თასის მატჩი კი კარსაა მომდგარი...

და ერთიც: წუხელ „ალპენ კაპის“ მეორე ნახევარფინალში თურქულმა „ბეშიქთაშმა“ 2:0 მოუგო დანიურ „ბრონდბიუს“. ასე რომ, „დინამო“ მესამე ადგილისთვის მატჩში ხვალ ვიკინგებს დაუპირისპირდება.

დავით ერაძე



ბაფანა ჯეფლაბის ფოტო





ბაფანა ჯეფლაბის ფოტო

რევაზ გოცირიძე უკვე, გიორგი ადამია მალე...

საქართველოს ჩემპიონმა და საუკეთესო ბომბარდირმა რევაზ გოცირიძემ გუშინ პირველად მოირგო ნაბერეჟნი ჩელნის „კამაზის“ მაისურა. ჩვენებური მეორე ტაიმში გამოჩნდა მოედანზე, „კამაზმა“ კი 1:0 მოუგო ელისტურ „ურალანს“ და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე აინაცვლა.

რევაზ გოცირიძეს გუშინ შევეხმიანეთ და თავიდან დებიუტზე ვკითხეთ...

გოცირიძეს გოლები არ ეჩქარება ადამიას

კამაზში ადგილს უნახავენ

— აშკარად მეტყობოდა, რომ გუნდთან შეთამაშებული არ ვიყავი. ამაში გასაკვირი არაფერია, მე ხომ ამხანაგურ მატჩშიც კი არ მითამაშია „კამაზთან“ ერთად, თუმცა ნამატჩევს მწვრთნელმა მადლობა მაინც გადამიხადა.

— მეტი არაფერი უთქვამს?

— გასახდელში არა. ისე, რამდენიმე წუთის წინ მელაპარაკა, ნორმალურად ითამაშეო, მითხრა და დამპირდა, ოდნავ თუ მოუმატებ, ძირითადში მოხვედრა არ გაგიჭირდებაო.

— მომავალ ტურშიც სათადარიგო იქნები?

— მგონი, კი. ახლა მახაჩყალის „დინამოს“ ვეთამაშებით. ძირითადზე ჯერ პრეტენზიაც არ მაქვს. ერთი თვე ვისვენებდი და გუნდთან ერთად ხეირიანად არც მივარჯიშია, მზად ნაღდად არ ვარ, თუმცა პირველი წრის მერე შეკრებას გავივლი და პრობლემაც აღარ მექნება.

— რა ნომერი მაისურა მოგცეს?

— 24, ჩემი საყვარელი 11 დაკავებული იყო.

— „ურალანს“ ათი კაცის მეტი მართლა არ ჰყავდა?

— ჰო. უცნაური კი იყო, მაგრამ ელისტელებს ფინანსურად ძალიან უჭირთ და თერთმეტ ფეხბურთელსაც ვერ მოუყარეს თავი. როგორც ამბობენ, „ურალანი“ პირველ წრეს ჩაამთავრებს და მერე დაიშლება.

— ვასილ გოგიაძე ხომ არ გინახავს?

— არა. ვასო იქ რომ ყოფილიყო, ხომ ითამაშებდა?! გუნდში არავინ ჩერდება, ისეთი აუტანელი მდგომარეობა ყოფილა.

— ამ მოგებით მესამე ადგილზე ხართ და პრემიერლიგაში გადასვლის კარგი შანსი გაქვთ...

— მიზნად პრემიერლიგაში გადასვლა არ დაგვიგეგმავს, მაგრამ თუ თამაშები მოვიგეთ და ასევე გავაგრძელეთ, ცხადია, ძალიან გავიხარდება. ხელმძღვანელობა კი მაინც ამბობს, რომ ეს სეზონი მოსამზადებლად და გუნდის გასაძლიერებლად უნდა გამოვიყენოთ. შედეგი უფრო მეორეხარისხოვანია. ისე კი, მართლა მშვენიერი იქნება, ამ სეზონშივე თუ მოვახერხებთ პრემიერლიგაში გადასვლას.

— გიორგი ადამიას საკითხი არ გადაწყვეტილა?

— მწვრთნელს გიორგი ძალიან მოსწონს და მგონი, ნაბერეჟნიე ჩელნიში დაბრუნებისთანავე მოგვარდება ეგ ტრანსფერიც. გიო ახლა ბაზაზეა და „კამაზის“ დუბლებთან ერთად ვარჯიშობს. უკვე შეგიძლიათ, ის „კამაზის“ ფეხბურთელად ჩათვალოთ.

— საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს გოლებს ახალ კლუბშიც მოგთხოვენ, მით უმეტეს, ძირითადში მოსახვედრად შენ უნდა დაამტკიცო...

— ყველანაირად ვეცდები, მომავალ ტურშივე გავიტანო გოლი. თუმცა, ასე თუ არ მოხდა, არც ესაა პრობლემა, მეორე წრეშიც აქ არ ვიქნები?!

ქაჯა შალამბერიძე

ქართულმა რკინიგზამ უზბეკურს აჯობა

უზბეკურ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „ლოკომოტივმა“ მეორე ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ამჯერად მეტოქე ტაშკენტის „ლოკომოტივი“ იყო. მატჩი რკინიგზელებმა დიდი უპირატესობით, 3:0 მოიგეს.

თბილისელებმა შემდეგი შემადგენლობით ითამაშეს: *ბათიაშვილი, რ. ონიანი, ბაქრაძე, ი. ვაშაკიძე, გ. ონიანი (სირბილაძე 46), დ. დოლიძე (ბესარაშვილი 46), ლაცაბიძე, მანწკავა, სანიკიძე, სოსელია, მედოევი (გაგუა 46).*

პირველ ტაიმში ქართველებს ბლომად საგოლე მომენტები ჰქონიათ, მაგრამ მიზანი ვერა და ვერ გაისწორეს. მატჩის მეორე ნახევარში კი ზაურ სვანაძეს შეცვლებმა გაუმართლა — ზაზა მედოევის ნაცვლად შესულმა ვალერი გაგუამ მეორე გოლი გაიტანა უზბეკურ შეკრებაზე. ამას როინ ონიანმა და ბესარაშვილმა ორიც მიაყოლეს — 3:0.

„ლოკომოტივის“ ის ფეხბურთელები, რომლებსაც გუშინ არ უთამაშიათ, დღეს ტაშკენტის „ფახთაქორის“ მეორე შემადგენლობას გაეჯიბრებიან. 10 ივნისს კი „ლოკომოტივი“ უზბეკეთის ნაკრებს შეხვდება. მატჩი დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება და, როგორც ამბობენ, უკვე გულშემატკივართა დიდი ინტერესიც გამოუწვევია.

დავით ერაძე

დარასელიას ერთი ტაიმი

ვლადიკავკაზის „ალანიას“ დუბლშემადგენლობამ სანკტ-პეტერბურგში „ზენიტთან“ 1:4 წააგო. ეს მატჩი ჩვენთვის იმითაა მნიშვნელოვანი, რომ თითქმის სამთვიანი მკურნალობის შემდეგ ოსთა გუნდს ვიტალი დარასელია დაუბრუნდა. მან პირველი ტაიმი სრულად ითამაშა. ლევან გვაზავამ კი მოედანზე 72 წუთი დაჰყო და 34-ე წუთზე ანგარიშიც გაათანაბრა, ლევანმა ზედიზედ მეორე მატჩში გამოიჩინა თავი. სანკტპეტერბურგელებმა თამაშის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყვიტეს, 82-დან 90-ე წუთამდე სამი უპასუხო გოლი გაუტანეს ათი კაცით დარჩენილ „ალანიას“ დუბლშემადგენლობას.

— კურბისმა მითხრა, პრაქტიკის აღსადგენად ერთი ტაიმი უნდა ითამაშოო — გვითხრა გუშინ დარასელიამ — რაც მთავარია, ფეხი მომირჩა და შიშის გრძნობაც გამიქრა. ახლა ძირითად გუნდთან ერთად განვაგრძობ მომზადებას. ალბათ მომავალ ტურში განაცხადში ვიქნები და ეგებ ვითამაშო კიდეც.

ისლანდია
პრემიერლიგიზონი. IX ტური
ფილკირი 2:2 აკრანესი

ამხანაგური მატჩები
სტანდარდი 2:1 კიოლნი
ბაზელი 0:3 კაიზერსლაუტერნი

შვედეთი
ალსვენსკა. X ტური
აიკ 1:1 კალმარი
მალმიო 0:0 სუნდსვალი
იორგრიტე 1:1 ლანდსკრონა
ჰალმსტადი 2:2 იურგორდენი

სუპერტა
გადადებული მატჩი
ფრიოლუნდა 0:2 ჰეკენი

ფინეთი
ვეიკაუსლიგა. XII ტური
ტპ-47 1:0 ტამპერე

როგორც უნდა იყოს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობა ეროვნული გუნდის შედეგებით ფასდება, ჩვენი ნაკრების უწყვეტ წარუმატებლობებს კი ბოლო არ უჩანს. გუშინ ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას ვესტუმრეთ და ზოგადი საკითხების გარდა კონკრეტულზეც ვისაუბრეთ. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი სექტემბერში დაიწყება და საქართველოს ნაკრები პირველად დაიწყებს ციკლს უცხოელი მწვრთნელის ხელში...

ბადრი ჯულაბაძის ფოტო

იოზეფ ბლატერი და მერაბ ჟორდანია ერთად ერთხელაც იფიქრებენ

გულდაწყვეტილი პრეზიდენტის პროექტები

მერაბ ჟორდანია: ვეცდებით, საბერძნეთს გადავასწროთ

— რა განწყობით, რა იმედებით ხვდებით ჩვენი ეროვნული ნაკრების დამდეგ შესარჩევ ეტაპს?

— ველოდებით, რომ ახალი, უცხოელი მწვრთნელის მოყვანა გაამართლებს. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, წარმატების მეტი შანსი გვაქვს, რადგან ჩვენს ჯგუფში გამოკვეთილი ფავორიტი არ არის. ალბათ ყაზახეთის ნაკრების გარდა ყველა იმას ფიქრობს, რომ პირველ ან მეორე ადგილზე გავიდეს. ჩვენს ჯგუფშია ევროპის ჩემპიონი საბერძნეთი, მაგრამ მის გადასწრებას ყველა შეეცდება, მათ შორის ჩვენც.

— მიგაჩნიათ, რომ ჩვენი ნაკრების წარუმატებლობების მიზეზი მხოლოდ მწვრთნელის ფაქტორი იყო?

— მწვრთნელის ფაქტორი ერთადერთი არა, მაგრამ წარუმატებლობების მთავარი მიზეზი იყო. ამ წარუმატებლობების პერიოდში ჩვენმა ფეხბურთელებმა გამოცდილება მოიმატეს სანაკრებო თუ საკლუბო დონეზე. გამოცდილება დაუგროვდა ფეხბურთის ფედერაციასაც და ყველაფერი ეს იმის საფუძველს გვაძლევს, რომ ნაკრები უკეთესად წარმოაჩენს თავს.

— რა პრემიალური სისტემა ექნება ნაკრებს შესარჩევ ციკლში?

— ამ საკითხზე საგანგებოდ ველაპარაკეთ გუნდის მთავარ მწვრთნელს ალენ ჟირესს. მისი თხოვნა იყო, რომ ფეხბურთელებს თითოეული მატჩისთვის ჰქონდათ პრემიები და ჩვენც დავთანხმდით. თუ ფინალურ ეტაპზე გავალთ, რა თქმა უნდა, დამატებითი, სერიოზული პრემიაც იქნება.

— ფინალურ ეტაპზე მოხვედრისთვის რა თანხას გამოვა ფედერაცია?

— ფინალურ ეტაპზე მოხვედრისთვის ფიფა და უეფა ეროვნულ ფედერაციას აძლევენ თანხას და ჩვენ მზად ვართ, წარმატების შემთხვევაში ეს ფული მთლიანად გუნდზე გავანაწილოთ. ახლა კონკრეტულად ვერ გეტყვით, რა თანხას გამოჰყოფენ ფიფა და უეფა, რადგან ამ ორგანიზაციების შემოსავლები ყოველწლიურად იზრდება და შესაბამისად მატულობს მათ მიერ გაღებული თანხებიც.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არის მზად იმისთვის, რომ 17 ან 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლოს?

— სათანადო სტადიონები და მინდვრები — ერთადერთი ხელისშემშლელი ფაქტორი ეს არის, თორემ ორგანიზაციულად ფეხბურთის ფედერაცია ამისთვის მზად არის.

— ითქვა, რომ თუ მიშელ პლატინი გახდება უეფას ან ფიფას პრეზიდენტი, უეფას თასის ერთ-ერთი ფინალი თბილისში ჩატარდებაო...

— ამ საქმეს თადარიგის დაჭერა უნდა — თუ შესაბამისი სტადიონიც გვექნება და საორგანიზაციო საკითხების მოგვარების შესაძლებლობაც, უეფას პრეზიდენტის წინაშე დავაყენებთ ამ საკითხს — უეფას თასის ფინალის თბილისში ჩატარება წარმოუდგენელი სულაც არ არის.

— ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მომავალ არჩევნებზე კვლავაც წამოაყენებთ თქვენს კანდიდატურას?

— არჩევნები 2007 წელს ჩატარდება და დღეს ამაზე საუბარი ნაადრევია. თუ ქართულ ფეხბურთს წარმატებები ექნება და ჩვენი საფეხბურთო სამყარო ჩემს პრეზიდენტობას კვლავაც საჭიროდ ჩათვლის, ვნახოთ...

— შარშან ფეხბურთის პროფესიული ლიგა შეიქმნა და ფედერაცია ეროვნული ჩემპიონატისგან თითქოს განცალკავდა, თითქოს პრობლემა სხვას გადააბარა და მხოლოდ ნაკრებებზეა პასუხისმგებელი...

— პროფლიგის შექმნა პირადად ჩემი იდეა იყო და ამან ბევრი სასიკეთო რამ მოუტანა ეროვნულ ჩემპიონატს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ფედერაციამ ეროვნული ჩემპიონატი თავიდან მოიშორა. პროფლიგა ფედერაციის სუბიექტია და ეროვნული ჩემპიონატი ყოველთვის ჩემი პირადი მეთვალყურეობის ქვეშ დარჩება.

— გასაგებია, მაგრამ საქართველოში ჯერ მხოლოდ თბილისური საფეხბურთო კლუბები ვითარდებიან, რაიონები კი თითქოს მიტოვებულია, მათ შორის ფეხბურთის ფედერაციისგან — ამ პრობლემის გადაჭრას როგორ აპირებთ?

— ფედერაცია რომელიმე კლუბს ვერ დააფინანსებს, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა სხვადასხვა კომპანიები დავარწმუნოთ იმაში, რომ ფეხბურთში ფულის ჩადება მათვის მომგებიანი იქნება. პირველ რიგში კახეთი მაქვს მხედველობაში, სადაც ამას წინათ გახლდით კიდეც. კახეთში რამდენიმე ბიზნესკომპანიაა და თუ ისინი ფეხბურთშიც ჩაერთვებიან, ეს მათთვის სერიოზული ბიზნესი იქნება. შეხვედრა მქონდა პრეზიდენტის რწმუნებულთან კახეთში პეტრე ცისკარიშვილთან და კახეთში სავსებით შესაძლებელია სერიოზული გუნდის შექმნა.

— თქვენ მხოლოდ კახეთი ახსენეთ...

— ფედერაციის მიერ ერთ-ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ჩვენი ერთ-ერთი სპონსორი გახდა კომპანია „ფერო“ — ამაში ილია კოკაია დაგვეხმარა. ახლა კი ამ კომპანიაში მომსახურე იმ პიროვნებებმა, რომლებსაც პირადად არ ვიცნობ, უმაღლესი ლიგის სერიოზულბიუჯეტიანი კლუბის შექმნა განიზრახეს. უმაღლეს ლიგაში ადგილის ყიდვა დაუშვებელია, მაგრამ იურიდიული მექანიზმების გამოყენებით შესაძლებელი უნდა იყოს უმაღლესლიგელ წყალტუბოს „სამგურალთან“ პროექტის განხორციელება. ჩვენ ყველაფერ ამას გავაკონტროლებთ და საერთო საქმისთვის მომგებიანი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. პროექტში გათვალისწინებულია წყალტუბოში ბაზის მშენებლობაც.

— როგორც უნდა იყოს, გარედან ისე ჩანს, რომ ფედერაციას განვითარების გეგმა არ გააჩნია — ამის თქმის საფუძველს წმინდა სპორტული შედეგები გვაძლევს.

— როცა ნაკრებს წარმატებები არ გააჩნია, ბუნებრივია, რომ გულშემატკივრებს ჩვენს მიმართ პრეტენზიები უჩნდებათ და ჩვენი პროექტებიც აღარ ჩანს. შევქმენით პროფლიგა, ჩამოვაყალიბეთ მსაჯთა აკადემია, რომელიც უეფას დახმარებით დაფინანსდება, ნაკრებების ბაზა იჯარით გადაეცემა „თბილისს“, რაც საერთო საქმისთვისაც სასარგებლო იქნება. თუმც ჩვენი ყველაზე უფრო დიდი ნაკლი ისაა, რომ ქართულ ფეხბურთში ბევრი არაკომპეტენტური ადამიანია დასაქმებული. ამასთან დაკავშირებით რამდენჯერმე ვესაუბრე ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს და ახლა კონკრეტული პროექტის განხორციელებასთან ახლოს ვართ.

— რა კონკრეტულ პროექტზეა ლაპარაკი?

— გვსურს, რომ საქართველოში შევქმნათ ფეხბურთის ინდუსტრიის საერთაშორისო აკადემია. პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მე ვიქნები, ამ საქმეს კლუბ „თბილისთან“ ერთად შევუდგებით. უკვე იმაზეც კი ვფიქრობ, ვინ იქნება ამ აკადემიის რექტორი. სამწვრთნელო, მენეჯმენტის და იურიდიული ფაკულტეტის გარდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტების ჩამოყალიბებაზეც ვფიქრობთ. უცხოელი ლექტორების მოწვევა გვსურს და ამაში ფიფა დაგვეხმარება. აკადემიის თანამშრომლებს გაცილებით მაღალი ხელფასი ექნებათ, ვიდრე საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

— ამ პროექტისთვის თანხას მხოლოდ „თბილისი“ და ფიფა გაიღებენ?

— არა, თანხას ფედერაციაც დახარჯავს. ეს აკადემია იმ საკითხების გადაჭრაში უნდა დაგვეხმაროს, რაც მინდორზე წარმატების საწინდარია.

— ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად იოჰან ბოსკამპის დანიშვნას აპირებდით— რატომ ვერ მოხერხდა ეს?

— ახალგაზრდულ ნაკრებში ბოსკამპის დანიშვნა ჩემი ძალიან დიდი სურვილი იყო და რატომ ვერ მოვახერხეთ ეს, ამაზე ახლა აღარ ღირს ლაპარაკი. ეს საქმე რომ არ გამოვიდა, გული ძალიან დამწყდა.

დავით თავართქილაძე

ქვეყნიერების ჩემპიონატი ჩაქანცულია

ფიფა-კოკა კოლას ყოველთვიურ რეიტინგში საქართველომ ერთხელაც ჩაყვინთა და თავი 105-ე ადგილზე ამოჰყო.

გასაკვირიც არაფერი — საქართველოს ნაკრები როცა თამაშობდა, მაშინ ვერ მატებდა ყულაბას თუნდაც კინკილა ქულას და ახლა, მისთვის ყოვლად უმოქმედო ივნისში რა ხეირი შეეყრებოდა.

თავს იმითღა თუ ვინუგეშებთ, რომ ჩვენმა სამომავლო მეტოქეებმაც ვერ იშლიგინეს. ერთადერთი ევროპის ჩემპიონი საბერძნეთია, 22 დღეში 21 საფეხური რომ აირბინა და ახლა მისთვის სარეკორდო მე-14 ადგილზეა.

თურქეთი, უკრაინა, ალბანეთი და ყაზახეთი კი ჩვენებრ ჩაცურდნენ.

ბოლოს სამეულზეც: ბრაზილია, საფრანგეთი და ესპანეთი ყველაფრის მიუხედავად ინარჩუნებენ „საპრიზო“ ადგილებს.



ალექსანდრ ფოტო

1	1	ბრაზილია	835
2	2	საფრანგეთი	813
3	3	ესპანეთი	792
4	11	ჩეხეთი	762
5	5	ჰოლანდია	748
6	4	მექსიკა	743
7	9	აშშ	735
8	13	ინგლისი	733
9	10	იტალია	729
10	*5*	*თურქეთი*	*723*
11	5	არგენტინა	722
12	22	პორტუგალია	715
12	8	გერმანია	715
14	*35*	*საბერძნეთი*	*710*
15	*15*	*დანია*	*706*
16	12	კამერუნი	702
16	14	ირლანდია	702
18	16	ნიგერია	697
19	18	შვედეთი	686
20	20	სამხრეთ კორეა	670
77	*71*	*უკრაინა*	*515*
94	*91*	*ალბანეთი*	*480*
105	102	საქართველო	437
144	*140*	*ყაზახეთი*	*313*



გიორგი დევდარიანი

ამხანაგური მატჩი

თბილისი 5:1 მეტალურგი

0:1 შავგულიძე (4), 1:1 მიქაძე (12), 2:1 ხოჯავა (39), 3:1 მიქაძე (80), 4:1, 5:1 აფციაური (85, 87)

თბილისი: დევაძე, ლოლაძე, გ. ნუგ. ჭელიძე (გოგუა 55), ქემოკლიძე, გეწაძე, ორბელაძე, დ. ოდიკაძე, გ. კვარაცხელია, აფციაური, გ. ვ. მიქაძე, ხოჯავა (მიკუჩაძე 55)

მეტალურგი: ცინაძე, ძაგნიძე, ჩაჩუა, ბეჟენარი, ჯაფარიძე (გ. ჩხაიძე 46), მელიქია (ჯაფარიძე 77), შავგულიძე, პარამონოვი, ზაზაშვილი, ვ. ქუთათელაძე, ჩიღვინაძე

გაფრთხილება: მიქაძე (53), ზაზაშვილი (77)

თბილისმა გოლები შეუკვეთა, ზესტაფონმა ნაიკი

გიორგი ცინაძემ ბევრი იფრინა, მაგრამ ხუთი გოლი მაინც გაუტანეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ „ისანზე“ უეფას თასზე თამაშის მომლოდინე „თბილისი“ ჯერჯერობით რეგიონალლიგელ ზესტაფონის „მეტალურგს“ ამხანაგურად გაეჯიბრა. იმერლები უმაღლეს ლიგას რომ უმიზნებენ, უკვე იცით და ეს საკითხი 14 ივლისამდე უნდა განიხილოს პროფლიგამ. ამბიციამომატებულმა ზესტაფონელებმა კი უკვე „ნაიკის“ ფორმებიც შეუკვეთეს. თუმცა, სიმართლე ვთქვათ, გუნდში ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო.

„თბილისი“ კი ნელ-ნელა საკუთარ თავს პოულობს და გუშინ შეკრების პერიოდში თავისი საუკეთესო მატჩიც ჩაატარა.

ანგარიში „მეტალურგმა“ ლევან შავგულიძის კურიოზული გოლით გახსნა. მის მიერ 25 მეტრიდან დარტყმული ბურთს აკაკი დევაძე უხერხულად დაუხვდა და — 0:1.

ზესტაფონელებმა ჩვენი ყურადღება ტანმაღალი ფეხბურთელებითაც მიიქციეს — 190 სანტიმეტრზე მაღალი ოთხი ფეხბურთელი ჰყავთ...

გიორგი ჭელიძის ფლანგურ ჩაწოდებაზე გიორგი მიქაძემ თავურით ეფექტურად გაათანაბრა. ამის შემდეგ მომენტები ძირითადად „მეტალურგის“ კართან იქმნებოდა. ჭელიძეს, ხოჯავას და აფციაურს გოლების გატანა არაერთხელ მართებდათ.

39-ე წუთზე რევაზ გეწაძის გარღვევა გოჩა ხოჯავას ზუსტი დარტყმით დასრულდა და „თბილისი“ 2:1 დაწინაურდა.

მეორე ტაიმში „თბილისმა“ დაწოლა გააძლიერა და „მეტალურგიც“ ვერას გახდა. გიორგი ცინაძემ ჯერ კოკა მიკუჩაძეს, ხოლო შემდეგ მიქაძეს აუღო ძნელი ბურთები. ოდიკაძის და იმავ მიკუჩაძის დარტყმები კი ძელმა აისხლიტა.

მოსახდენი მაინც მოხდა. მიქაძემ და თორნიკე აფციაურმა (ორჯერ) მატჩის მიწურულს სამი გოლი გაუტანეს სტუმრებს.

ზესტაფონელები კი თავის შანსს კონტრშეტევაზე ელოდნენ, ორჯერ ახლოსაც იყვნენ მიზანთან, მაგრამ...

დავით ერაძე

რატომაც არა?!

ზესტაფონის „მეტალურგმა“ შეკრება ჩვიდმეტი დღის წინ დაიწყო. გუნდი მზადებას თბილისში გადის და სასტუმრო „მესაზღვრეშია“ დაბინავებული. ამის მიზეზი ზესტაფონში სტადიონისა და სათადარიგო მოედნის რეკონსტრუქციაა — სამუშაოთა ნახევარი თითქმის დასრულებულია. გამოიცვალა მოედნის საფარი, შეკეთდა გასახდელები. ახლა კი ინდივიდუალური სკამებიც მონტაჟდება. მალე დაიწყება ბაზის მშენებლობაც...

„მეტალურგის“ მწვრთნელს მოლდოველ ვლადიმირ ზემლიანოის თავის დროზე „შერიფში“ მოლდოვის ჩემპიონობაც უზეიმია. გუშინ მას „თბილისთან“ მატჩის შემდეგ შევხვდით და „მეტალურგის“ პერსპექტივებზე ვესაუბრეთ...



გურამ დოლიძე/ვლადიმერ ფოტო

ვლადიმირ ზემლიანოის არადედაქალაქური ამბიციები

— საქართველოში ჩამოსვლამდე რა იცოდით ქართულ ფეხბურთზე და ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატზე?

— ქართულ ფეხბურთს უდიდეს პატივს ვცემ. ჩემი აზრით, პოსტსაბჭოურ სივრცეში ის ერთ-ერთი წამყვანი და საკუთარი ხელწერის მქონეა. ვიცოდი, რომ ნიჭიერი ფეხბურთელები ახლაც მრავლად გყავთ და სწორი მუშაობით ნორმალური გუნდის გაკეთება შეიძლება. ისიც ვიცოდი, რომ ძირითადად ოთხი-ხუთი გუნდია დაახლოებით ერთი დონისა. „მეტალურგმა“ სამი საკონტროლო მატჩი გამართა. ორჯერ უმაღლესლიგელებს ვეთამაშეთ — „ლოკომოტივს“ და „თბილის“. განსაკუთრებით „თბილისი“ მომეწონა. გუნდი ფიზიკურადაც კარგადაა მომზადებული და საკმაოდ სწრაფ ფეხბურთსაც თამაშობს.

—ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთ შემაფერხებელ მიზეზად უხარისხო მინდვრები ითვლება...

— თუ „ისნის“ სტადიონით ვიმსჯელებთ, კარგი მოედნებიც გქონიათ, გარდა ამისა, ვიცი, რომ თამაში „ეროვნულ“ და „ლოკომოტივის“ სტადიონებზეც შეიძლება. ისე კი, უხარისხო მინდვრები მთელი აღმოსავლეთ ევროპის პრობლემაა.

— საქართველოში ბევრს გაუკვირდა „მეტალურგში“ ამბიციური მწვრთნელის მისვლა...

— გუნდში საკმაოდ ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს. „თბილისთან“ მატჩის შედეგს ათვლის წერტილად ნუ ჩათვლით. ამ ეტაპზე შედეგს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ. თამაშები საკმაოდ მძიმე დატვირთვების პერიოდში გვაქვს, ამიტომაც ბიჭებს ჯერ კიდევ უჭირთ. თუმცა ჩემპიონატს აბსოლუტურად სხვაგვარად შევხვდებით.

— ცხადია, იცით, რომ „მეტალურგმა“ შესაძლოა წლეულსვე ითამაშოს უმაღლეს ლიგაში. ამისთვის რამდენად მზად ხართ?

— უმაღლესი ლიგა? მერე რა?! ამისთვისაც მზად ვიქნებით, თუმცა მაშინ ზოგიერთ სათამაშო რგოლში მაინც გაძლიერება დაგვჭირდება.

— ეს თქვენი მოლდოვური კავშირების მეშვეობით ხომ არ მოხდება?

— ძირითადად ადგილობრივი კადრებით გავძლიერდებით. ვინც „თბილისთან“ თამაშისას ნახეთ, ყველა ჩვენთან არ დარჩება. მუშაობა ჯერაც გრძელდება.

— ანუ უმაღლესი ლიგისთვისაც ემზადებით?

— რატომაც არა. მოდით, ასე ვთქვათ: თუ უმაღლეს ლიგაში ვითამაშებთ, მაშინ უმთავრესი მიზანი იქ ადგილის შენარჩუნება და გუნდის შეთამაშება იქნება.

— „შერიფი“ მოლდოვის ჩემპიონი პირველად სწორედ თქვენს ხელში გახდა. „მეტალურგთან“ რაიმე მსგავსებას თუ ხედავთ?

— საკმაოდ დიდს. „შერიფიც“ ხომ არადედაქალაქური კლუბია. ტირასპოლში სამი წელი ვიმუშავე, ქვედა ლიგებიდან დავიწყეთ და ჩემპიონობამდე მივედით. თუმცა „შერიფი“ მატერიალურად ძალიან შეძლებული იყო. საკმაოდ ბევრი ლეგიონერი მოვიწვიეთ, გუნდის ინფრასტრუქტურა კი საშუალო ევროპულ დონეს უთანაბრდებოდა.

— მოლდოვის ჩემპიონატი ქართულს დაფინანსებით სჯობს?

— ასე გადაჭრით თქმა არ შეიძლება. არა მგონია, მოლდოვის ჩემპიონატი თქვენსაზე უკეთესი იყოს. მატერიალურად იქაც მხოლოდ სამ-ოთხ კლუბს არ უჭირს. თანაც ქვეყანაც პატარაა და ჩემპიონატში სულ რვა გუნდი თამაშობს. შესაძლოა მოლდოვის ჩემპიონატის მოწინავენი უფრო სტაბილურები იყვნენ, მაგრამ კლასით ალბათ თქვენი გუნდებისგან არ განსხვავდებიან. ორივე ქვეყნის ფეხბურთელების მთავარი ნაკლი კი ისაა, რომ მათ ევროპელებივით მუშაობა არ იციან და პროფესიონალიზმით ჩამორჩებიან.

— „თბილისთან“ მატჩში თქვენი გუნდი კონტრშეტევებზე თამაშობდა. ეს თქვენი სტილია?

— არა, ამას ახლა დაულხენელი ცხოვრების გამო ვაკეთებთ. საერთოდ, ბრძოლისა და პრესინგის მოყვარული ვარ, მაგრამ ამას მოთამაშეების სათანადო კონტინგენტი სჭირდება. ამიტომ ამ ეტაპზე მეორე ნომრად თამაშს ვამჯობინებთ, ალბათ ასე იქნება ჩემპიონატშიც.

— „მეტალურგს“ მდიდარი პატრონი გამოუჩნდა. თქვენ რა პირობები მოსთხოვეთ ხელმძღვანელობას?

— ჩემი მოთხოვნების გარეშეც, ვიცი, რომ ერთ წელიწადში „მეტალურგს“ მაღალი დონის სავარჯიშო ბაზა და მოედნები ექნება. უკვე რეკონსტრუქცია მიმდინარეობს კლუბის სტადიონზე და ის საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოც იქნება. საერთოდ კი, პირობების გარეშე სერიოზულ მიზნებზე ლაპარაკი, ცხადია, ზედმეტია.

დავით ერაძე

„მეტალურგის“ მოლდოველი ლეგიონერი ოლეგ ბეჟენარი

გურამ დოლიძე/ვლადიმერ ფოტო

თქვენ მიდიხართ არჩევნებზე?

სანსმა და პერესმა ერთმანეთს ცხოვრება გაუქაქეს

სხვათა შორის, ბალდასანო ასე ამბობს:

„დევიდ ბექემი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ იგი „რეალს“ თავიდანვე არ სჭირდებოდა. მისი შეძენა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით იყო გამართლებული და თუ ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში მწვრთნელი, ხოსე ანტონიო კამაჩო მეტყვის, რომ იგი გასაყიდია, გავყიდი“.

კიდევ, ბალდასანო ამბობს, რომ თუ პრეზიდენტად აირჩევენ, „ჩელსის“ მეპატრონეს, რომან აბრამოვიჩს დაურეკავს და პატიოსან ურთიერთობას შესთავაზებს, ანუ თუ აბრამოვიჩს მადრიდიდან ფეხბურთელი დასჭირდება, იგი სიტყვით იქნება შეკრული და უშუალოდ მოთამაშესთან გარიგებამდე კლუბის ხელმძღვანელობას მოეთათბირება.

მაგრამ ბალდსანო პრეზიდენტი ვერ გახდება, რადგან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მთავარი კანდიდატი ორია, სანსი და პერესი, რომელთა შორის მადრიდში ტელედებატები გაიმართა. მოვიტანოთ ფრაგმენტები. შესავალში ოთხი წლის უნახავმა კანდიდატებმა ერთმანეთზე ასე ბრძანეს:

სანსი: ფლორენტინო ამ ოთხი წლის განმავლობაში იმიტომ არ მინახავს, რომ „სანტიაგო ბერნაბეუს“ ლოჟაში მე კი მიწვევდა, მაგრამ იცოდა რა, რომ მეულლის გარეშე არსად დავდივარ და არ იწვევდა ჩემს ცოლს. ხოლო „რეალის“ ასი წლისთავისადმი მიძღვნილ წიგნში ჩემზე საერთოდ არაფერი წერია. ერთგან ვარ ფოტოზე, პრეზიდენტს რომ ვართმევ ხელს და ეგ არის.

პერესი: მართლაც დიდი დრო გავიდა. სანსს ლოჟაში ხშირად ვიწვევდი, მაგრამ არ მოდიოდა. დიახ, ოთხი ნელიწადი დიდი დროა, მაგრამ არც იმდენი, ლორენსო რომ დამვიწყებოდა.

კითხვაზე, რითი განსხვავდება მათი პროექტები ერთმანეთისგან, კონკურენტებმა ასე მიუგეს:

სანსი: ფლორენტინოს მარკეტინგული, „გალაქტიკური“ პროექტი აქვს. მე ასეთს ვერ განვახორციელებ. ჩემი გეგმა გაცილებით მარტივია, მინდა დაბალანსებული გუნდი მყავდეს.



არტურო ბალდასანო

პერესი: სანსს პატივს ვცემ, ამაში ეჭვი ნურავის შეეპარება, რადგან მე კლუბს ვცემ პატივს. მაგრამ არსებობს კლუბის მართვის ორი ხერხი, ბნელი და აშკარა, თანამედროვე. მე მეორე გზას მივდევ. მწამს, რომ ჩემი პროექტი მადრიდიზმის პატივისცემით არის გაჟღენთილი.

ფოსტით ხმის მიცემის შესახებ.

სანსი: ეს არალეგალურია, რადგან 30-მდე (როდესაც ეს კანონი მიიღეს), ჩვენ ჯერ კანდიდატები არ ვიყავით და ამიტომ ჩემთვის ნათელია, რომ პერესი უკვე 15 დღეა ხმებს აგროვებს. არჩევნების წესის თანახმად, ურნები სპეციალურ ადგილებში გაიხსნება და იქ ნახავენ სწორად მიდის ყველაფერი თუ არა. ადრე კი არჩევნები კლუბის ოფისში ტარდებოდა. ოთხი წლის წინ მე მომატყუეს, ფლორენტინო ტყუილისთვის ჩემზე უკეთ იყო მომზადებული. ფოსტით არჩევნები ტიპიური არ არის. არ ვიცი, როგორ იქნება ჩვენი საქმე, ქუჩებში, მაღაზიებზე იქნება გაკრული „აქ მოდით და ხმა მიეცით“ თუ როგორ?

პერესი: სენიორ სანს, არჩევნების ნუ გეშინიათ. ყოველი ხმა ამომრჩევლის აზრს გამოხატავს. ბატონი სანსი იმიტომ ღელავს, რომ „რეალის“ პრეზიდენტთაგან ის ერთადერთია, თავისმა ქომაგებმა რომ არ აირჩიეს, ერთადერთია, ვის სასარგებლოდაც ხელმოწერებს აყალბებდნენ, მაშინ მკვდრებმაც კი მისცეს ხმა. ჩემი პრეზიდენტობის დროს კი მადრიდში ქომაგსაც არ სდომებია უკანონობის ჩადენა. ეს სწორედ თქვენ დანერეთ. 20 დღით ადრე კლუბის წევრთა მიმართვა, მაშინ, როდესაც კარგად მოგეხსენებოდათ, რომ ეს კანონის დარღვევაა. შემდეგ თქვენ დანაშაული ჩაიდინეთ — მონაცემთა ბაზას გაეცანით...

სანსი: მე მონაცემთა ბაზა არ მინახავს. რვა წლის წინ თავად დავიწყე მისი შექმნა. ნებისმიერი ქომაგი, ვისაც ხმის მიცემა უნდა, მოვიდეს და მისცეს ხმა. არის მობილური ტელეფონების მაღაზიები. იქ იყოს უბანი, მე მაღაზიების სია მაქვს, სადაც ხმის მიცემა შეიძლება, მაგრამ ფოსტით სხვაა, ეს დაუშვებელია...

შემდეგ იყო გვარიანად არეულ-დარეული მონაკვეთი, სადაც სანსმა პერესს ბრალი კლუბის ვალის 22 მილიონით გაზრდაში დასდო, თქვა, რომ სამ წელიწადში 87 მილიონი დაიკარგა, „სიმენსთან“ კონტრაქტი დაიწუნა და შარშანდელი აზიური ტურნედან მიღებული შემოსავლის (სამი მილიონი ევროს) დამალვაზეც ჩამოაგდო სიტყვა.

ამაზე პერესმა ციფრების კორიანტელითვე უპასუხა.

შემდეგ იყო კამათი საწვრთნელი ცენტრის „სიუდად სპორტივას“ გაყიდვის უგუნურობასა თუ გონიერებაზე, სანსმა პერესს ისევ „რეალის“ თანხების ჩაჯიბებაზე შეუძახა, შეახსენა, რომ მისი პრეზიდენტობის დროს საკალათბურთო „რეალმა“ მიაღწია სერიოზულ შედეგებს და დასძინა:

„ჩვენი გარდაქმნის შემდეგ გუნდს თითქმის ყველაფერი უნდა მოეგო. აქ კი შეიქმნა კლუბი, სადაც მარკეტინგის ყველა დეტალი გააზრებულია და მუშაობს სასაცილო პროექტი, „ზიდანიდან პავონამდე“. სიტყვა „გალაქტიკომ“ ზიანი მოგვაყენა, „რეალისადმი“ გაღიზიანება გამოიწვია. ოგნიანოვიჩის ყიდვას რომ მიწუნებთ, განა იმავე დროს არ შევიძინე რობერტო კარლოსი, პანუჩი, ზეედორფი... პერესმა ჩემგან ჩემპიონი გადაიბარა და თიხის ფეხებზე შემდგარ კოლოსად გარდაქმნა“.

სანსმავე დაიცვა „რეალის“ ყოფილი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე, ხოლო პერესმა მიუგო, რომ თუ დელ ბოსკეს ვინმე არ სცემდა პატივს, ეს უპირველეს ყოვლისა, სწორედ სანსი იყო, რომელმაც ის მხოლოდ იმიტომ დანიშნა მწვრთნელად, რომ ლიპმ, ვალდანომ და კამაჩომ უარი შეუთვალეს.

დანარჩენი კი კვირას გაირკვევა.

პაპუნა კედია

ევერტონმა რუნი მანჩესტერისგან დაიცვა

„ევერტონმა“ უარყო პრესაში გავრცელებული ჭორები, თითქოს ინგლისის ნაკრების ახალგაბრწყინებული ვარსკვლავი უეინ რუნი „მანჩესტერ იუნაიტედს“ მიჰყავს. პირიქით, კლუბმა განაცხადა, რომ რუნის ახალი ხუთწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს „გუდისონ პარკზე“.

„შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედისგან“ არანაირი წინადადება არ მიგვიღია. ამასთან ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მანჩესტერელები ვერ შეძლებენ რუნის გადაბირებას და იგი ჩვენთან დარჩება“ — განაცხადა „ევერტონის“ დირექტორმა პოლ გრეგმა, რომელმაც, სხვათა შორის დასძინა, რომ კლუბმა გააფორმა სპონსორული ხელშეკრულება ტაილანდის მთავარ ლუდისმხარშველ ფირმასთან.

შეგახსენებთ, რომ „ევერტონის“ თავმჯდომარემ ერთი ხნის წინ ევრო 2004-ზე თავგამოჩენილი რუნის ფასი 50 მილიონ გირვანქამდე ასწია... რუნიმ კი ჩემპიონატზე თავი ოთხი გოლით გამოიჩინა.

„რუნისთან დაკავშირებით მინდა გახაროთ, რომ იგი სეზონის დასაწყისში ვარჯიშს დაიწყებს“ — დასძინა გრეგმა. მოგეხსენებათ, ფორვარდი პორტუგალიასთან მეოთხედფინალურ შეხვედრაში დაშავდა და რვა კვირის შემდეგღა ელოდნენ მის სავარჯიშო მოედანზე გასვლას.

პაპუნა კედია

პერუ მჩხიბავებმა გათვალეს

ვენესუელას ჯოლუმბიამ ენაო გამოუყო

კლაუდიო პიზარო

პერუელმა მჩხიბავებმა „კოპა ამერიკის“ გახსნამდე ლიმაში თავისებური რიტუალები ჩაატარეს. რაღაც სითხე და ბალახი ერთმანეთში აურიეს, დროშაში გახვეული ბურთს მოასხურეს, შეულოცეს და, ეტყობა, შელოცვისას სიტყვები შეცდომით წარმოთქვეს, რადგან პერუ ბოლივიასთან მარცხს ძლივს გადაურჩა.

მჩხიბავების ბუტბუტმა მასპინძელთა ჯილა ნოლბერტო სოლანოზეც ალბათ უარყოფითად იმოქმედა. მან უხეიროდ ითამაშა და 61-ე წუთზე რობერტო პალასიოსით შეცვალეს. ეს ცვლილება იღბლიანი გამოდგა. მექსიკის „მორელიას“ ლეგიონერმა შეხვედრის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე კოხტა გოლით გაათანაბრა. ბურთი მარჯვენით აიგდო და ცაციით ლეონარდო ფერნანდესის კარში შეჭედა.

პირველივე ტაიმში გამარჯვების საზეიმოდ მომართულ პერუელ ქომაგებს ღრიალი ბოლივიელმა ხოაკინ ბოტერომ შეაწყვეტინა. დამხვდურები უტევდნენ, მაგრამ პირველი გოლი მათ კარში გავიდა. მექსიკური „უნამის“ მოთამაშე ბოტერომ მიგელ მერკადოს პასით ახლოდან იოლად გაიტანა.

მასპინძლებმა შესვენებამდე ორი ხელსაყრელი მომენტი გააფუჭეს. ჯერ კლაუდიო პიზარომ, მერე კი ფლავიო მაესტრიმ თავით უხეიროდ დაარტყეს.

მეორე ნახევარი ათიოდ წუთის დაწყებული იყო, ბოლივიელებმა ანგარიშში სხვაობა რომ გაზარდეს და მასპინძლებს საქმე გაურთულეს. საჯარიმოს გარეთ ბურთის მოსაგერიებლად გავარდნილი პერუელი მეკარე შეცდა, ლორხიო ალვარესმა კი არ აპატია. ბურთი მოიგდო და საკმაოდ მახვილი კუთხიდან ოსკარ იბანესს მეორე გაუტანა.

ხოაკინ ბოტეროს ამ დარტყმის მერე ბოლივია დაწინაურდა

COPA AMERICA PERU 2004

კოპა ამერიკა 2004

პერუ (6-25 ივლისი)

A ჯგუფი. I ტური

კოლუმბია 1:0 ვენესუელა

1:0 მორენო (22პ)

კოლუმბია: ენაო, გ. მარტინესი, ა. გონსალესი, ოროსკო, ვიქტორია, ო. დიასი, აგილარი (კასტრელონი 76), პატინო, დ. ფერეირა (მორანტესი 90), ტ. მორენო (ვიაფარა 71), ს. ერერა

ვენესუელა: ანგელუჩი, ვალენილია (ე. გონსალესი 70), ხ. რეი, ჩიკერო, ხონაი ერნანდესი (ხ. როხასი 65), მ. მეა ვიტალი, პაესი, ლ. ხიმენესი, არანგო, რ. მორანი, რონდონი (მარჯოტა 60)

მსაჯი: მარსიო დე ფრეიტაში (ბრაზილია)

45 000 მაყურებელი

პერუ 2:2 ბოლივია

0:1 ბოტერო (35), 0:2 ალვარესი (56), 1:2 კ. პიზარო (68პ), 2:2 პალასიოსი (86)

პერუ: ო. იბანიესი, ხ. სოტო, აკასიეტე, რებოსიო, ვილკესი, სოლანო (პალასიოსი 61), ხაიო, ზეგარა (ოლკესე 77), მაესტრი (ა. მენდოსა 61), კ. პიზარო, ფარფანი

ბოლივია: ლ. ფერნანდესი, ს. ხაურეგი, არანა, რალდესი, ლ. ალვარესი, ლ. პიზარო (ხ. არსე 84), ტუფინო, კრისტალდო, ლ. გუტიერესი (გალინდო 63), მერკადო, ბოტერო

მსაჯი: ექტორ ბალდასი (არგენტინა)

45 000 მაყურებელი

კოლუმბია	1	1	0	0	1:0	3
ბოლივია	1	0	1	0	2:2	1
პერუ	1	0	1	0	2:2	1
ვენესუელა	1	0	0	1	0:1	0

II ტური: 9 ივლისი

კოლუმბია — ბოლივია

პაულო აუტორიმ ნორბერტო სოლანო და ფლავიო მაესტრი რობერტო პალასიოსით და „ბრიუგეს“ ლეგიონერ ანდრეს მენდოსათი შეცვალა. გუნდის თამაში ამის მერეღა გამოსწორდა.

პერუელებმა მალე პენალტი მოინაგრეს. ვალტერ ვილკესის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი დარტყმა კლაუდიო პიზარომ გამოიყენა, ხოლო მოგვიანებით პალასიოსმა იყოჩაღა და ქუდა გადაარჩინა.

მადაზე მოსული მასპინძლები ბოლოს მეტოქეს მოსაგებად მიაწვნენ, მაგრამ ანდრეს მენდოსამ ვერ ივარგა — ახლოდან თავით დაჰკრა და ააცილა.

„ჩვენი თამაში დასახვეწია და ამაზე უნდა ვიფიქროთ, მომდევნო მატჩში უკეთეს შედეგს ველი“ — თქვა პერუელთა მხსნელმა რობერტო პალასიოსმა, ხოლო მისმა ბრაზილიელმა მწვრთნელმა, პაულო აუტორიმ ნორბერტო სოლანო და ფლავიო მაესტრი რობერტო პალასიოსით და „ბრიუგეს“ ლეგიონერ ანდრეს მენდოსათი შეცვალა. გუნდის თამაში ამის მერეღა გამოსწორდა.

პერუ — ვენესუელა

ლო აუტორიმ განაცხადა: „ბიჭები თავიდან ძალიან ჩქარობდნენ და ამიტომაც არაფერი გამოსდიოდათ, რამდენიმე კარგი საგოლე შანსიც ვერ გამოვიყენეთ. ვიმედოვნებ, რომ შემდეგ შეხვედრაში თამაშის ხარისხს გავაუმჯობესებთ“.

კოპა ამერიკას ამჟამინდელ მფლობელ კოლუმბიას ვენესუელამ მეორე ტაიმში თავბრუ დაახვია, მაგრამ ხუან კარლოს ენაომ სასწაულები ჩაიდინა და ბურთი არ გაუშვა.

კოლუმბიელთაგან საუკეთესო ტრეზორ მორენომ შესვენებამდე საეჭვო პენალტი გაიტანა, რომელიც მისივე წაქცევისთვის ბრაზილიელმა მსაჯმა დანიშნა.

ტელეეკრანზე გამეორებისას გამოჩნდა, რომ მორენო მანამდე წაყირავდა, სანამ მეკარე ჟილბერტო ანგელუჩი დაეჯახებოდა.

არბიტრმა მარსიო რესენდე დე ფრეიტასმა კოლუმბიელ ფორვარდს პენალტი ორჯერ შეასრულებინა, რადგან პირველი დარტყმისას მოთამაშეები საჯარიმოში ნაადრევად შეცვივდნენ.

ვენესუელას კოპა ამერიკას ისტორიაში მხოლოდ ერთი მატჩი აქვს მოგებული — 1967 წელს ბოლივია დაამარცხა. ძალიან კი სურდათ, მეორე მოგებაც გამოეჩარხათ, მაგრამ ხელმოცარულნი დარჩნენ.

მეორე ტაიმში მათ გოლი გაიტანეს, მაგრამ ფრეიტასმა თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალა. ვენესუელელებს ხელსაყრელი მომენტები ჰქონდათ, ოღონდ ხუან კარლოს ენაოს ვერ „გადააბიჯეს“.

ხუან კარლოს ენაომ ნამატჩევს განაცხადა: „გამარჯვებით დაწყება ძალიან მნიშვნელოვანია“, მწვრთნელმა რეინალდო რუედამ კი თქვა, რომ მეტოქემ შტურმი მოგვიწყო, მაგრამ გავუძელითო.

მარცხით ნაწყენმა ვენესუელელებმა კომენტარი იუარეს.

ვაჟა ხუციშვილი

რეჰაგელი პენსიამდე საბერძნეთში დარჩება

ოტო რეჰაგელი საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელად კიდევ ორი იმუშავებს, ეს კი ნიშნავს, რომ თბილისში ვნახავთ, თუ როგორ უსტვენს „მეფე ოტო“ ცალი თითით.

ამგვარად, გერმანიის საფეხბურთო კავშირს უკვე მეორე კანდიდატი გამოეცალა ხელიდან, პირველი კი, გეხსომებათ, ოტმარ ჰიცფელდი გახლდათ.

„რეჰაგელმა კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა. ჯერ კიდევ ევრო 2004-ის დაწყებამდე სიტყვიერად შევთანხმდით, რომ იგი საბერძნეთის ნაკრებს 2006 წლამდე გაწვრთნიდა. მაშინ მას სხვა წინადადებებიც ჰქონდა, მაგრამ ისინი უარყო და, როგორც ხედავთ, არ შემცდარა. ერთგულებისთვის ახალი, უფრო ძვირი კონტრაქტი გავუფორმეთ. ევროჩემპიონატის შემდეგ ვკითხე, 2008-მდე ხომ არ დარჩებითმეთქი, მან კი მიპასუხა, იმ დროისთვის უკვე მობერებული ვიქნებიო. გასაგებია, რომ რეჰაგელის წაყვანა გერმანელებს სურდათ, მაგრამ აქაურობა არჩია, რადგან უკვე ამ ქვეყნის ნაწილია, ერთ-ერთი ჩვენგანია“ — თქვა საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვასილის გაგატცისმა.

ვაჟა ხუციშვილი

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

ომი მე მოვიგე

მილუტინოვიჩი ჰონდურასიდან არქიეპისკოპოსს გაექცა

ცნობილ სერბ მწვრთნელ ბორა მილუტინოვიჩს ამჯერად არ გაუმართლა — მექსიკის, კოსტა რიკის, ნიგერიის, ჩინეთის და აშშ-ს ნაკრებებში მუშაობით სახელდაგდებული მწვრთნელი ჰონდურასის ეროვნულ გუნდთან თანამშრომლობაზე უარს ამბობს. მიზეზი იქაური პრესისა და საზოგადოების დაუმსახურებელი ბრალდებებია. ესპანურ „მარაკსთან" საუბრისას მილუტინოვიჩი თავისი პრინციპებისადმი ერთგულებასა და ახლახან დასრულებულ ევრო 2004-ზე ლაპარაკობს, ხოლო ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელებს საქმისადმი დამოკიდებულების ძირფესვიანად შეცვლას ურჩევს...

— თქვენ სამწვრთნელი კარიერაში პირველად ხდება, რომ გუნდს ისე ტოვებთ, მიზნისთვის არ მიგიღწევიათ... ხომ ვერ გვეტყვით, რატომ ეთხოვებით ნაადრევად ჰონდურასის ნაკრებს?

— ჰონდურასში არ არის მუშაობისთვის სასურველი გარემო. სწორედ ამის გამო გადავწყვიტე ნაკრების მიტოვება, თუმცა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისა და ეროვნული გუნდის ფეხბურთელებისადმი მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, ბოლომდე გულისხმიერად მექცეოდნენ.

— ამ პატარა ქვეყანაში უჩვეულოდ ბევრი კრიტიკოსი გამოგიჩნდათ — თვით ტეგუსიგალპას არქიეპისკოპოსიც კი...

— გული მტკივა, როცა ჩემს მიმართ დაუმსახურებელ ბრალდებებს ვისმენ. ეს კრიტიკა უმეტესწილად დაუსაბუთებულია და ნებას თუ მომცემთ, ამის შესახებ არ ვილაპარაკებ.

— ჩინეთში მთელი ორი წელი იმუშავეთ...

— ჩინელებმა მაშინ ჩემი ენა არ იცოდნენ, მე კიდევ ჩინურად ვერ ვლაპარაკობდი. მიუხედავად ამისა, ჩვენი მისწრაფებანი ერთმანეთს დაემთხვა და არცთუ ისე ურიგო შედეგს მივაღწიეთ. ჰონდურასში ენის მხრივ პრობლემა არ შემქმნია — ესპანურად ესაუბრობდი, თუმც შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი მაინც ვერ მოვძებნეთ. ასეა, როდესაც რაიმე საქმეში ზედმეტი ანტაგონიზმი შეიმჩნევა, უმჯობესია, იქაურობას საერთოდ გაეცალო.

— ანუ გამოდის, რომ ომი ბორა მილუტინოვიჩმა წააგო...

— არავითარ შემთხვევაში. გინდ ომი დაარქვით, გინდა სხვა რამ, მე მოვიგე. ჩემი პრინციპებისა და მოსაზრებებისთვის არ მიღალატია.

— ევროპულ ფეხბურთზე ვისაუბროთ. პორტუგალიური ევრო 2004-დან ფავორიტების გამოთიშვამ არ გაგაკვირვათ?

— რა თქმა უნდა, გამიკვირდა, მაგრამ იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ საბერძნეთმა ევროპირველობაზე ბრწყინვალედ ორგანიზებული თამაში უჩვენა, განცვიფრებულები აღარ დავრჩებით. ახლა ბობოლა საფეხბურთო ქვეყნები იძულებულნი იქნებიან, საბერძნეთის დონის გუნდების შემართება და შესაძლებლობანი გაითვალისწინონ.

— დიდი ტურნირის მოსაგებად ამჯერად ესპანეთის ნაკრებს რა დააკლდა?

— საფეხბურთო საკითხებზე მსჯელობისას ყოველთვის ტაქტიკაზე, ფიზიკურ მომზადებასა და ტექნიკაზე ლაპარაკობენ. არადა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მენტალურ და სულიერ ფაქტორებსაც. დიდი გამარჯვებების მოსაპოვებლად ესპანეთის ეროვნულ გუნდში წვრთნისადმი დამოკიდებულება ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს...

— და ბოლოს, როგორც მწვრთნელი, ევროჩემპიონატიდან რას გამოარჩევდით?

— ლუიშ ფელიპე სკოლარის სამწვრთნელო თვალთახედვას, ჩეხების თამაშს, რეჰაგელის ტაქტიკას და მისი ფეხბურთელების ფანტასტიკურ მოტივაციას.

ბენიტო ფლორეს მალიორკა შერჩა

მადრიდის „რეალისა" და „ვილიარეალის" ყოფილი მწვრთნელი ბენიტო ფლორო ერთი წლით „მალიორკას" თავკაცად დაინიშნა. მოგეხსენებათ, „მალიორკას" მწვრთნელი აქამდე გახლდათ ლუის არაგონესი, რომელიც ცოტა ხნის წინ ესპანეთის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. არაგონესმა, თავის მხრივ, ეროვნულ გუნდში ინაკი საესი შეცვალა.

ფლორო 52 წლისაა. იგი თებერვლამდე „ვილიარეალში" მუშაობდა, საიდანაც, როგორც თავად ამბობს, ფეხბურთელების უგულობის გამო წავიდა. შემდეგ იგი ყოფილმა ასისტენტმა პაკიტო გარსიამ შეცვალა და ასე განსაჯეთ, მერვე ადგილზე გავიდა, რაც უეფას თასზე გასვლას ნიშნავს.

ფლორომ სახელი „ალბასეტეში" გაითქვა — გუნდი მესამე ლიგიდან პირველში აიყვანა. ეს 90-იანი წლების დასაწყისში მოხდა. 1992-ში ფლორო თვით „რეალს" ჩაუდგა სათავეში და 1993-ში სამეფო თასი მოაპოვებინა. რაც შეეხება ჩემპიონობას, „რეალმა" ტიტული ჩემპიონატის ბოლო დღეს დაკარგა.

ამის მერე ფლორომ იაპონიასა და მექსიკაში იმუშავა, საიდანაც 2002-ში სამშობლოს დაუბრუნდა — „ვილიარეალში" მივიდა.

პაპუნა კვიდია

ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ახალგაზრდა იტალიელმა რობერტო მანჩინიმ გუშინ ოფიციალურად ჩაიბარა მილანის „ინტერი" და... დარჩა „ლაციო". — მანჩინის აწ უკვე ყოფილი გუნდი — უმწვრთნელოდ

ლაციო ძოფზე ჰკიდია

ეს გრეგუჩი ვინღაა?



რა თქმა უნდა, რომაელთა გენერალური დირექტორი უგო ლონგო შეგუებული იყო იმ აზრს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი გუნდი მესაჭის გარეშე დარჩებოდა, მაგრამ „მანჩოს" სრულფასოვანი შემცვლელის პოვნა ასე იოლია?

აქამდე კულუარებში თუ ამბობდნენ, რომ რობერტო მანჩინის წასვლის შემთხვევაში „ლაციოს" მწვრთნელის პოსტს სახელოვან დინო ძოფს ჩააბარებენო, თუმც ოფიციალურად ჯერ არაფერი გადაწყვეტილა და ძოფს კონკურენტიც კი ჰყოლია — „ვენეციას" ტაქტიკოსი, ვინმე ანჯელო გრეგუჩი.

ვფიქრობთ, დინო ძოფს წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება — წარსულში ცნობილ მეკარეს რომაული კლუბი ადრეც გაუწვრთნია, ყოფილა „ლაციოს" პრეზიდენტიც და თვით „სკუადრა აძურაც" კი მიიყვანა ევრო 2000-ის ვიცეჩემპიონობამდე.

მაგრამ ვინაა ანჯელო გრეგუჩი, ვეჭვობთ, თავად „ბიანკოჩელესტეს" ტიფოზებმაც არ იცოდნენ.

ერთი სიტყვით, რომის „ლაციოს" უბანში, კერძოდ კი „ფორმელოში", გუნდის საწვრთნელ ბაზაზე დიდი ფაცი-ფუცია. ახალი სეზონის დაწყებამდე ჯერ ძალიან ადრეა, მაგრამ გუნდს მწვრთნელი ხომ აუცილებლად სჭირდება.

გიორგი ვაშაკიძე

გუშინ ჟაკ სანტინიმ ოფიციალურად ჩაიბარა ლონდონური „ტოტენჰემი". საფრანგეთის ნაკრების აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი გუნდის ფანობას წარუდგინეს და „უაით ჰართ ლეინზეც" აკენწლინეს ბურთი.

ნევიო სკალას პატაკი: რაც არის, ეგ არის სპარტაკი



რუსეთი

პრემიერლიგა. XV ტური

ზენიტი 3:2 ალანია
1:0 სპივაკი (23), 1:1 გ. ბაზაევი (14), 2:1 გორაკი (43), 2:2 გ. ბაზაევი (45), 3:2 გარტინგი (90)

დინამო 2:4 ლოკომოტივი
1:0 მურიგინი (7), 2:0 ვლჩეკი (24), 2:1 ევსეევი (49), 2:2 სიჩოვი (59), 2:3 პარკსი (77), 2:4 სიჩოვი (82)

სპარტაკი 1:1 ყუბანი
0:1 ვუკა (33), 1:1 პეტკოვიჩი (48)

კრილია 2:1 როსტოვი
1:0 შირშოვი (4ს.კ.), 2:0 კარიაკა (42), 2:1 კრუშჩიჩი (60)

ამკარი 1:0 მოსკოვი
1:0 ბულიგა (62)

რუბინი 2:1 ცსკა
0:1 იაროშიკი (51), 1:1, 2:1 რონი (57, 87პ)

შინიკი 2:1 როტორი
0:1 ესიპოვი (36), 1:1 შირკო (63), 2:1 ხაზოვი (75)

ტორპედო 1:2 სატურნი
0:1 ბაჟენოვი (4), 1:1 ლებედენკო (28), 1:2 იანი (77)

რუსეთში დასრულებული პირველ წრის ჩემპიონი მოსკოვის „ტორპედო" გახდა. მართალია, მოსკოველებმა გუშინ შინ „სატურნთან" წააგეს, თუმც პირველობა მაინც შეინარჩუნეს. ოღონდ ეგაა, რომ უახლოესი მდევარი „ზენიტი" ქულით დაიახლოვეს. აქვე შევნიშნოთ, რომ ალექსანდ პეტრენკოს გუნდი ჩემპიონატს თავიდანვე ლიდერობდა.

გუშინდელ ტურში ბლომად გოლები გავიდა, მაგრამ სხვებისგან გამოსარჩევი მაინც „დინამო" — „ლოკომოტივი" იყო. დინამოელებმა შეხვედრის დაწყებიდან ოც წუთში მეტოქეს წყვილი გოლი გაუტანეს და იური სიომინის გუნდს თავსატეხი გაუჩინეს. მასპინძლები მურიგინმა დააწინაურა, მეორე კი ვლჩეკმა მიაყოლა.

გასახდელში მწვრთნელისგან შეხურებული „ლოკომოტივი" მოედანზე გაცეცხლებული დაბრუნდა და თანაქალაქელებს თავბედი აწყევლინა. ვადიმ ევსეევმა ერთი რომ გაქვითა, გუნდი გონს მოეგო და სიჩოვმა მალევე გაათანაბრა.

იშტაზე მოსული „ლოკოს" შეჩერება შეუძლებელი გახდა. კოსტარიკელმა ლეგიონერმა უინსტონ პარსკმა მესამედ დაამწუხრა „დინამოს" გაოგნებული მეკარე, ხოლო სიჩოვმა მატჩის ბოლოს ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა.

მოსკოვის „სპარტაკი" კი ახლოს იყო ანტირეკორდთან. ნევიო სკალას შეგირდები ზედიზედ ექვსი მარცხის შემდეგ მეშვიდე მატჩსაც აგებდნენ. მაჩანჩალა კრასნადორის „ყუბანი" პირველ ტაიმში დაწინაურდა. კანტონისტოვის პასით ვუკა კოვალევსკისთან პირისპირ გავიდა და გატანა არ გასჭირვებია. „სპარტაკი" მიჯრით მეშვიდე წაგებას მცველმა დუშან პეტკოვიჩმა გადაარჩინა. სერბმა შესვენების დამთავრებიდან სამიოდ წუთში გაათანაბრა.

ნევიო სკალამ ნამატჩევს თქვა, რაც ნახეთ, დღევანდელი „სპარტაკის" ძალა ეგ არის, ბიჭებს მეტი არ შეუძლიათ და ახალ ფეხბურთელებს თუ არ შევიძენთ, ძალიან გაგვიჭირდებაო.

ბოლოადგილოსან „როტორს" მწვრთნელის შეცვლამ ვერ უშველა. ვიტალი შევჩენკომ გუნდი სამი დღის წინ ჩაიბარა და იაროსლავლში „შინიკთან" ოცი წუთის განმავლობაში კიდეც ხარობდა, „როტორი" ესიპოვის გოლით იგებდა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა შტურმი მოუწყეს სტუმრებს და ჯერ შირკომ, მერე ხაზოვმა თითო-თითო გაიტანეს.

სამარის „კრილია სოვეტოვი" ზედიზედ მოგებული მატჩის შემდეგ სამეულში შეძვრა. როსტოველებისთვის შეხვედრა უიღბლოდ დაიწყო, რადგან შირშოვმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, ხოლო ტაიმის მიწურულს დონისპირელებს სამარელთა მეგოლე ანდრეი კარიაკამ გაუტანა. კარიაკამ 15 მატჩში მე-14 გოლი მიითვალა და ჩემპიონატის ბომბარდირია.

„ტორპედო-მეტალურგმა" სახელი ოფიციალურად შეიცვალა და ახლა „მოსკოვი" ჰქვია. სახელშეცვლილი გუნდისთვის პერმში სტუმრობა მარცხით დასრულდა. „ამკარის" ერთადერთი გოლი ბულიგამ მეორე ტაიმში შეაგდო და პერმელები ამ გამარჯვებით ცხრლის შუაში გამოჭიმნენ.

ვაჟა ხუციშვილი

ტორპედო	15	9	4	2	30:14	31
ზენიტი	15	9	3	3	29:20	30
კრილია	15	8	4	3	27:24	28
ლოკომოტივი	14	7	4	3	20:11	25
ცსკა	15	6	7	2	24:15	25
სატურნი	15	4	8	3	17:14	20
ალანია	15	5	4	6	16:19	19
რუბინი	15	4	7	4	17:15	19
ამკარი	15	4	7	4	12:17	19
შინიკი	14	4	5	5	9:13	17
როსტოვი	15	4	4	7	17:23	16
დინამო	15	3	7	5	16:17	16
სპარტაკი	14	4	3	7	22:26	15
მოსკოვი	14	3	5	6	15:18	14
ყუბანი	15	2	7	6	13:20	13
როტორი	15	1	3	11	15:33	6

„კრილიამ" „როსტოვს" ქულა არ გაატანა



ანდრეი კარიაკა

პორტუგალიური „პორტუ" მზადაა, რუს ნახევარმცველ დმიტრი ალენიჩევს შეელიოს. „ალენიჩევს გავყიდით, თუ მსურველი 600 ათას ევროს შემოგვთავაზებს, იგი ახლა 32 წლისაა და შანსი უნდა მივცეთ, რომ რომელიმე გუნდთან 3-4 წლიანი კონტრაქტი გააფორმოს და გაცილებით უკეთესი ხელფასი მიიღოს. გვინდა ალენიჩევს მადლობა ასე გადავუხადოთ იმ ყველაფრისთვის, რაც მან „პორტუსთვის" გააკეთა წლების მანძილზე" — თქვა „დრაკონთა" პრეზიდენტმა ჟორჟე ნუნუ პინტუ და კოშტამ. აქვე გეტყვით, რომ ალენიჩევი მოსკოვის „სპარტაკთან" აწარმოებს მოლაპარაკებას და დიდი შანსია, მშობლიურ კლუბს დაუბრუნდეს.

გერმანულ ბუნდესლიგას ყველაზე მეტი მაყურებელი ესწრება. სტატისტიკოსები ასეთ დასკვნამდე გასული სეზონის მაჩვენებლების შეჯამებამ მიიყვანა. ბუნდესლიგის თითეულ მატჩს საშუალოდ 36 ათასი ადამიანი ესწრებოდა. შემდეგ მოდიან: ინგლისი (34 ათასი), ესპანეთი (28), იტალია (25) და საფრანგეთი (20). კლუბებს შორის ყველაზე მეტ ქომაგს დორტმუნდის „ბორუსია" იზიდავდა — საშუალოდ მატჩზე 79 ათასი, მეორეზე კი მადრიდის „რეალია" 70 ათასი გულშემატკივრით.

ინგლისური „ჩელსის" ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ რუს ალექსეი სმერტინს კლუბში აბრუნებენ. „სმერტინი გუნდში ბრუნდება და იგი „ჩელსის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება. მან ჩინებულად ითამაშა „პორტსმუთში" და მისით კმაყოფილნი ვართ. სმერტინს ყველა სხვა ფეხბურთელის მსგავსად, ძირითადი შემადგენლობისთვის ბრძოლა მოუწევს" — განაცხადა „არისტოკრატთა" გენერალურმა დირექტორმა პიტერ კინიონმა.

პორტუგალიურ პრესაში ცოტა ხნის წინ იწერებოდა, ჩეხი მარეკ ჰაინცი ლისაბონის „სპორტინგში" გადავიდაო. ეს ინფორმაცია ნაადრევი აღმოჩნდა, რადგანაც მხარეებმა ჯერ ვერ შეძლეს საბოლოო მოლაპარაკებამდე მისვლა. ამასობაში კი ჰაინცს სამი რეალური მსურველი გამოუჩნდა — გლაზგოს „სელტიკი", გერმანული „მიონხენგლადბახი" და მოსკოვის „სპარტაკი". ოსტრავის „ბანიკის" გენერალურ მენეჯერ იაკობ კაპუნის თქმით, ჰაინცის გადაბირების ყველაზე დიდი შანსი „სპორტინგს" აქვს.

ჰოლანდიის ნაკრების ახალი მწვრთნელი შესაძლოა, ლეგენდარული მარკო ვან ბასტენი გახდეს. იცით, „ნარინჯისფერები" სულ ახლახან დატოვა დიკ ადვოკაატმა და მომავალი თავკაცის ვინაობა უახლოეს დღეებში უნდა დასახელდეს. ვან ბასტენი ამჟამად ამსტერდამის „აიაქსში" მუშაობს.

ინგლისური „არსენალის" ნახევარმცველ რეი პარლოუს, ყოფილმა ცოლმა სასამართლო პროცესი მოუგო და ამიერიდან მისი ხელფასის მესამედს მიიღებს. ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რომელიც 33 წლის ქალბატონს სასამართლო პროცესის მოგებაში დაეხმარა, გახლდათ ის, რომ ცოლ-ქმრობის დროს, მისი დახმარებით პარლოუ ალკოჰოლს გადაეჩვია და საფეხბურთო კარიერის გაგრძელება შეძლო.

იტალიის მსაჯთა კომიტეტის განცხადებით, არაა გამორიცხული, მომავალ სეზონში სერია A-ს რამდენიმე მატჩი გერმანელებმა იმსაჯონ. „ამ პროექტს განვიხილავთ და შესაძლოა, 4-6 შეხვედრა მართლაც გერმანელმა არბიტრებმა განსაჯონ" — აღნიშნა კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პიერლუიჯი პაირეტომ.

ბრაზილიელი მცველი როკე ჟუნიორი ლევერკუზენის „ბაიერში" გადავიდა. იგი აქამდე იტალიური „მილანის" საკუთრება იყო, გასული სეზონი კი ივარის წესით „სიენაში" გაატარა. როკე ჟუნიორის გადაბირება თურქულ „გალათასარაისაც" ეწადა, თუმც გერმანელებმა იტალიელები უფრო სარფიანი წინადადებით მოხიბლეს. „ლევერკუზენში" მან თვისტომი ლუსიო უნდა შეცვალოს, რომელიც მიუნხენის „ბაიერნში" წავიდა.

შოტლანდიელი ცენტრალური მცველი დომინიკ მატეო „ლიდსიდან" „ბლექბერნში" გადავიდა. მატეომ ახალ კლუბთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და „ივუდ პარკზე" სწორედ ამდენ ხანს დარჩება.

იტალიური „მილანის" სათადარიგო მეკარის, კრისტიან აბიატის აგენტმა ვინჩენცო მორაბიტომ განაცხადა, რომ მიუხედავად უთამაშებლობისა, მისი კლიენტი „როსონერის" არ დატოვებს. „კრისტიანს თუ წასვლა სურდა, აქამდე უნდა წასულიყო, როცა კარგ ფორმაში იყო და ლონდონის „არსენალიც" იწვევდა. მოლაპარაკებებს „პალერმოსთან" და „ფიორენტინასთანაც" ვაწარმოებდით, მაგრამ არაფერი გამოვიდა" — უთხრა ბოლოს იტალიურ „რადიო რადიოს" მორაბიტომ.

...და ან ცაზე ვარსკვლავები

დიეგო

რატომ ვებრძვი ყოველთვის ყველანაირ ხელისუფლებას? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ უსამართლობის ნებისმიერი ფორმა მძულს

ღვთის და დიეგო მარადონას ურთიერთობა „ღმერთის ხელით“ არ დაწყებულა — ასე ფიქრობენ იტალიის ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ ქალაქ ნეაპოლში. იქაურებს მიაჩნიათ, რომ დიდი დიეგოს და მათი ჯადოსნური ქალაქის ბედი სწორედ ზეციურ ძალთა ჩარევით გადაიკვეთა და შვიდწლიანი სამოთხე მოიტანა. სწორედ მარადონას ჭარბად მომადლებული ნიჭიერების შედეგი იყო სამხრეთული ქალაქის გუნდის არნახული შედეგი — ორი სკუდეტო, უეფას თასი და ერთიც იტალიის თასი. სწორედ გენიალური დიეგოს პერიოდში გაუტოლდა „ნაპოლი“ მდიდარი და განვითარებული ჩრდილოეთის კლუბებს.

არადა, როდესაც ულტრანიჭიერი არგენტინელის და „ნაპოლის“ სარეკორდო, 7,5 მილიონიანი ტრანსფერის ამბავი გაირკვა და გახმაურდა, ყველა სახტად დარჩა. რატომ? გასაგებია რატომაც: ამ დროისთვის მას უკვე მოვლილი ჰქონდა შინ „არხენტინოს ხუნიორსი“ და „ბოკა ხუნიორსი“, ევროპაში კი, არც მეტი, არც ნაკლები, „ბარსელონა“... და უცბად გუნდი, რომელსაც 60-წლიანი ისტორიის განმავლობაში მხოლოდ ორი ჯილდო აქვს მოგებული — იტალიის თასი და იტალიის თასი. მაშინ, როდესაც „იუვენტუსი“, „მილანი“ და „ინტერი“ ტიტულებით იწონებდნენ თავს, ნეაპოლში ერთადერთი არგუმენტი ჰქონდათ, ქომაგების სიყვარულით სავსე გული.

ენერგიული, ხმაურიანი, ვნებიანი და შეურიგებელი! ის ნეაპოლის გარდა, ვერსად წავიდოდაო, ამბობენ ნეაპოლელები.

... ათლეტური თვალსაზრისით, ის ჩინებული იყო. აღნაგობით დაბალი, ჯირკვივით ჩამდგარი და ამასთან სწრაფი, მხნე, კოორდინირებული. ხშირად გაუპარსავი თამაშობდა. იმ წლებში ხუჭუჭა თმები ბუჩქივით ადგა თავზე.

მარადონას ნიჭიერება განსაკუთრებით მაშინ ჩანდა, როდესაც ბურთი ფეხში მოერგებოდა. აი, მაშინ იწყებოდა ნამდვილი საშინელება ნებისმიერი მეტოქისთვის. მაშინ იწყებოდა იდეალური ფეხბურთი, რომლის ზევით აღარაფერია.

„მარადონა რომანტიკოსია. ის კარგად მხოლოდ მაშინ თამაშობს, როდესაც გრძნობს, რომ უყვართ და ამიტომაც იგრძნობა, რომ ქალაქი და გუნდი სწორად აქვს შერჩეული“ — ამბობდა ერთი ნეაპოლელი ტიფოზი, ჩვენ კი შეგვიძლია დავძინოთ: თუ ასეა, მაშინ დიეგო ყოველთვის ყვარებიათ, მთელი მისი კარიერის განმავლობაში.

როდესაც მარადონა „ნაპოლიში“ მივიდა, გუნდი გავარდნას ერთი ქულით გახლდათ გადარჩენილი. პირველ დიეგოიან სეზონში „აძური“ (ანუ „ნაპოლი“, ცისფერფორმიანი გუნდი) მერვე ადგილზე გავიდა, ხოლო მეორე წელიწადს მესამეზე. ნეაპოლელთა გამარჯვებებმა ბევრის ნერვებზე ცუდად დაიწყო თამაში და აქა-იქ შეურაცხმყოფელი პლაკატებიც კი აღუმართეს: „დაიბანე!“

მაგრამ დიდ დიეგოს დასაცინი არაფერი სჭირდა და როდესაც 1987 წელს იტალიის პირველობაზეც ისე ითამაშა, როგორც ერთი წლის წინ, ზაფხულში მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რაც 10 მაისს „ნაპოლის“ სკუდეტოთი დასრულდა, მტრებს პირში ბურთი ჩაეჩარათ, სრულიად ნეაპოლი კი გადაირია.

საოცარია, დღეს მავანთა მემუარებში ხშირად ვხვდებით იმის ზრდილობიან მტკიცებას, რომ „ნაპოლი“, რასაკვირველია, მხოლოდ მარადონა არ იყო, რომ კლუბის მაშინდელმა პრეზიდენტმა კორადო ფერლაინომ და მწვრთნელმა ალბერტო ბიგონმა ბევრი სხვა ოსტატიც მიიზიდეს და ასე შემდეგ. რა ვთქვათ ამაზე? ნუ, ცხადია, გუნდი მხოლოდ ერთი კაცისგან ვერ იქნებოდა შედგენილი, მაგრამ რაკიღა ასეთი რამის მტკიცება სჭირდებათ, ესე იგი... ოხ, რა ძალიან განსხვავდებოდა იმ ერთი კაცის დონე სხვა ოსტატების და დიდოსტატების დონისგან.

ბრაზილიელი თავდამსხმელი კარეკა ნამდვილად ძლიერი ფეხბურთელი გახლდათ, მაგრამ თავის მხრივ, სრულიად პატიოსნად ამბობდა: „მე ნეაპოლში იმიტომ ჩამოვედი, რომ მარადონას გვერდით მეთამაშა. ამის გამო ძალიან ბევრ კონტრაქტზე ვთქვი უარი“.

კიდევ ვინ იყვნენ? ალემაო, ჩირო ფერარა, ფერნანდო დე ნაპოლი, ახალგაზრდა ჯანფრანკო ძოლა...

ჯადოსნური 1987-ის შემდგომ კი აი, რა მოხდა: „ნაპოლიმ“ იმავ შემოდგომაზე მეტოქეები ერთი მეორეს მიაწყო, მაგრამ 1988 წლის გაზაფხულზე სეზონის ბოლო შვიდი თამაშიდან ხუთში დამარცხდა. იმ წელიწადს არიგო საკის ზღაპრული, ჰოლანდიური „მილანი“ (გულიტი, ვან ბასტენი, რაიკარდი) გახდა სკუდეტოს მფლობელი, ხოლო 89-ში ლოთარ მათეუსის გერმანული „ინტერი“, მაგრამ... 1989 წელს დიეგომ უეფას თასი მოიგო.

და ნეაპოლში ახალი ისტერია დაიწყო.

„როდესაც ის მოდანდეა, თუნდაც მთლად ჯანმრთელად არც იყოს, თავს ფეხბურთელად გრძნობს“ — ამბობდა ეფ ნაპოლი. და მარადონა იყო ყველგან, ეკრანებზე, ფანშაზე, ტელევიზორში, გაზეთის პირველ გვერდზე.

„ნარკოტიკს ვერასდროს აკონტროლებ, პირიქით, ის გფლობს თავიდან ბოლომდე. ნებისმიერი, ვინც ამბობს, რომ როდესაც უნდა მაშინ იკაიფებს, ან სხვას ატყუებს ან თავს იტყუებს. ნარკოტიკი პირველად 1982 წელს, ევროპაში გავსინჯე. მაშინ 22 წლისა ვიყავი და როგორც ახლა ვხედავ, თავი ყველგან და ყველაფერში მინდოდა მენახა, მერე კი ხშირად მინანია. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როდესაც მინდოდა ბურთს მივწვდომოდი და ვერ ვახერხებდი. ჩემი გონება ბრძანებას იძლეოდა, სხეული კი არ ემორჩილებოდა. ყოფილა, საკუთარი შვილებისთვის წყალი ვერ მიმიწოდებია“.

ხორხე ვალდანო (არგენტინელი ვარსკვლავი): „დიეგო რომ გავიცანი, 21 წლისა ვიყავი და პირველი, რაც გავიფიქრე იყო ის, რომ ჩემს წინ ბუნების სასწაული იდგა. ის იყო დაბადებული ფეხბურთისთვის და ბედად იმ გარემოში, სადაც დიდ ფეხბურთელებს აფასებენ, სადაც ნიჭს გაფურჩქვნის საშუალება აქვს. მე მიყვარს მისი სიგიჟეები და ის, რომ ყოველივე იმის მერე, რაც მოხდა, დიეგოდ დარჩა. ის არასოდეს ვარჯიშობდა თასმებგაყრილი ბუცით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ტექნიკასთან დაკავშირებულ წვრილმანებზე თავისი აზრი ჰქონდა. ის დაუსრულებლად ცდილობდა იმას, რისი გაკეთებაც ჩვენ სიზმარშიც არ მოგვივიდოდა აზრად და საბოლოოდ თავის საფირმო ილეთს იგონებდა. და, რა თქმა უნდა, ის ეყრდნობოდა თავის ღონეს, რომლის საშუალებით თავის ტექნიკას სრულყოფილად წარმოაჩენდა“.

ენცო ფრანჩესკოლი (ურუგვაელი ვარსკვლავი): „ბედნიერი ვარ, რადგან მარადონას მხარდამხარ მომიწია თამაშმა. მისი ნიჭისა და შესაძლებლობების კაცი შეუძლებელია არ გამხდარიყო თავისი და ნებისმიერი სხვა თაობის საუკეთესო ფეხბურთელი“.

პაბლო აიმარი (არგენტინელი ფეხბურთელი): „ჩვენთვის, ფეხბურთის მოყვარული არგენტინელებისთვის დიეგო ღმერთზე ოდნავ უმნიშვნელოა. თუ დიეგოს რამე აწუხებს, ჩვენ ყველანი იმავეს განვიცდით“.

პაპუნა კედია

იტალიური ტრანსფერები 2004-2005

მილანი

მოვიდნენ
სტამი (ლაციო)
დორასო (ლიონი, საფრანგეთი)
სარი (ატალანტა)
როკე ჟუნიორი (სიენა)
დონატი (სამპდორია)
დალა ბონა (ბოლონია)
გრაფიედი (ფიორენტინა)
აუბამეიანგი (ტრიესტინა)
კუტუზოვი (აველინო)

წავიდნენ
ლაურსენი (ასტონ ვილა, ინგლისი)
რედონდო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბორიელო (მესინა)
როკე ჟუნიორი (ლევერკუზენი, გერმანია)
კუტუზოვი (სამპდორია)
ალიუ (მონსი, ბელგია)
დონატი (მესინა)
დალა ბონა (ლეჩე)

რომა

მოვიდნენ
კუფრე (სიენა)
გიგუ (სიენა)
სარტორი (ანკონა)
აკილანი (ტრიესტინა)
ფერონეტი (ტრიესტინა)
ბოვო (ლეჩე)
სტურბა (კატანია)
დომინიკი (ჩეზენა)
ტული (სალერნიტანა)

წავიდნენ
სამუელი (რეალი, ესპანეთი)
კარეუ (ვალენსია)
ძებინა (იუვენტუსი)

იუვენტუსი

მოვიდნენ
კაპო (ოსერი, საფრანგეთი)
ძებინა (რომა)
ბლაზი (პარმა)
მატეო ბრიგი (ბრეშა)
ბაიოკო (რეჯინა)
ძანკი (ბოლონია)
კიელინი (ლივორნო)
ბონეფოი (მესინა)
ვილტორდი (არსენალი, ინგლისი)

წავიდნენ
ბუდიანსკი (რეჯინა)
ბაიოკო (მესინა)
ძანკი (მესინა)

ინტერი

მოვიდნენ
კამბიასო (რეალი, ესპანეთი)
ფავალი (ლაციო)
ხ. ვერონი (ჩელსი, ინგლისი)
ვენტოლა (სიენა)
რებეკი (ჯენოა)
პოტენცა (პარმა)
ბეატი (ტრიესტინა)
ლომბარდი (ანკონა)
ალტობელი (სპეცია)
დავიდსი (ბარსელონა, ესპანეთი)
ბურდისო (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)
ნაპოლიტანო (სპეცია)
მ. მორო (სპეცია)

წავიდნენ
ბრეშე (სოსიედადი, ესპანეთი)
ოკანი (ბეშიქთაში, თურქეთი)
ს. დალმა (ტულუზი, საფრანგეთი)
ჰელვეგი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

პარმა

მოვიდნენ
ფალზინი (რეჯინა)
ნაკატა (ბოლონია)
უუნიორი (სიენა)
მორეტი (ბოლონია)
სიჩინიანო (ლეჩე)
სივილია (ლეჩე)
ბოლანო (ლეჩე)
გრიეკო (ჯენოა)
ბუდელი (ჯენოა)
დე ლუჩია (სალერნიტანა)

წავიდნენ
ბლაზი (იუვენტუსი)
პოტენცა (ინტერი)
ბ. კარბონე (კატანძარო)
სერიჩი (ვერონა)

ლაციო

მოვიდნენ
პანდევი (ანკონა)
დ. ბაჯო (ანკონა)
კ. მანფრედინი (პერუჯა)

წავიდნენ
სტამი (მილანი)
ფავალი (ინტერი)
ფიორე (ვალენსია, ესპანეთი)
კორადი (ვალენსია, ესპანეთი)

ჰოლანდიელი იაპ სტამი „მილანში“ ითამაშებს

უდინეზე

მოვიდნენ
დი მიკელე (რეჯინა)
სოსა (მესინა)
დე ვაკა (სერო პორტენო, ურუგვაი)
ტოლედო (კატანძარო)
თ. მანფრედინი (ფიორენტინა)
ნომვეტე (სალერნიტანა)
და სილვა (ფოჯა)

წავიდნენ
იანკერი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია)
რენარდი (მოდენა)
ნოზელი (ალტო ადიჯე)
ლეონარდუცი (ტივოლი)

სამპდორია

მოვიდნენ
ტონეტო (ლეჩე)
პიზანო (ბრეშა)
დომიცი (მოდენა)
გრანდონი (მოდენა)
პავანი (მოდენა)
ედუსეი (პიაჩენცა)
კოლომბო (პიაჩენცა)
კუტუზოვი (მილანი)
არტიპოლი (პესკარა)
იაკოპინო (ლუკეზე)
კაცურანისი (აეკ, საბერძნეთი)

წავიდნენ
დონატი (მილანი)
იანაგისავა (მესინა)
ჩიპრიანი (ბოლონია)
ფლორო ფლორესი (ნაპოლი)

კიევო

მოვიდნენ
პეზარეზი (ტერნანა)
მენსა (მოდენა)
მარაცინა (მოდენა)
ბრევარიო (პავია)
მუნარი (ჯულიანოვა)
დე ფრანჩესკი (ბარი)
ბრუნო (ბარი)
დ. ფრანჩესკინი (ლეჩე)
ა. კარბონე (ტრიესტინა)

წავიდნენ
სალა (ატალანტა)
ბონომი (სიენა)
სანტანა (პალერმო)
მორონე (პალერმო)
ფრეცოლინი (მოდენა)

ლეჩე

მოვიდნენ
კორალო (კროტონე)
ჩირილო (სიენა)
ანანია (აველინო)
დალა ბონა (მილანი)

წავიდნენ
ტონეტო (სამპდორია)
ვ. დალმა (გრენობლი, საფრანგეთი)
პოლეკსიჩი (სუტიესკა, სერბეთი)
მარინიელო (კატანძარო)
ბოვო (რომა)
დ. ფრანჩესკინი (კიევო)
ბოლანო (პარმა)
სიჩინიანო (პარმა)
სივილია (პარმა)
ბილი (მონსი, ბელგია)
კუიო (მონსი, ბელგია)

ბრეშა

მოვიდნენ
მანინი (პიზა)
დალამანო (ლუმეცანე)
ლ. გონსალესი (მარტინა)
ა. ლუკარელი (ფიორენტინა)
კორტელინი (ლუმეცანე)
ძობოლი (ალბინოლეფე)
მანინგერი (ბოლონია)

წავიდნენ
რ. ბაჯო (თამაში მიატოვა)
პიზანო (სამპდორია)
მატეო ბრიგე (იუვენტუსი)
მანიერო (პალერმო)
პ. კასტელინი (ტორინო)
მაური (მოდენა)
ჯ. კოლუჩი (ვერონა)
მატუზალემი (შახტარი, უკრაინა)
პეტრუცი (ბოლონია)

ბოლონია

მოვიდნენ
უუარესი (სიენა)
ნასტასე (პალერმო)
კოპოლა (რეჯინა)
ჩიპრიანი (სამპდორია)
შმიტი (ატალანტა)
დელა როკა (ატალანტა)
დაინო (ანკონა)
პეტრუცი (ბრეშა)
ჯუნტი (ბეშიქთაში, თურქეთი)
ზაგორაკისი (აეკ, საბერძნეთი)

წავიდნენ
დალა ბონა (მილანი)
ნაკატა (პარმა)
ტროიზე (ნაპოლი)
მორეტი (პარმა)
ძანკი (იუვენტუსი)
ნატალი (ატალანტა)
როსინი (ატალანტა)
ძაკარდო (პალერმო)
მანინგერი (ბრეშა)

სიენა

მოვიდნენ
სერაფინი (არეცო)
მაინი (ანკონა)
ფალზინი (რეჯინა)
ბონომი (კიევო)
უირარდელო (კომო)
ფოლიო (ჯენოა)
ვარგასი (ემპოლი)
ძანკოპე (მოდენა)
რასიაკი (გროცლინი, პოლონეთი)

წავიდნენ
როკე ჟუნიორი (მილანი)
ჩირილო (ლეჩე)
ჟუარესი (ბოლონია)
გიგუ (რომა)
ვენტოლა (ინტერი)
ჯ. როსი (პალერმო)
ლაზეტიჩი (კომო)
კუფრე (რომა)
ლუმბუტისი (პერუჯა)

რეჯინა

მოვიდნენ
გ. მარტინესი (ნაპოლი)
ძამბონი (ნაპოლი)
ლეონი (ფიორენტინა)
ძოპეტი (კატანია)
ვიკარი (ვერონა)
ბოგდანი (სალერნიტანა)
რ. ვერონი (სალერნიტანა)
ლეისალი (ლიბერეცი, სლოვაკეთი)
პიკოლო (კომო)
ბალესტრი (მოდენა)
განჩი (ტრევიზო)
ბუდიანსკი (იუვენტუსი)
კანარზა (ლივორნო)
ესტევეში (ფერეირა, პორტუგალია)

წავიდნენ
კოცა (ჯენოა)
ფალზინი (სიენა)
დალ აკუა (ტრევიზო)
კოპოლა (ბოლონია)
ფალზინი (პარმა)
ბაიოკო (იუვენტუსი)
სტელონე (ნაპოლი)
სოტილი (ჯენოა)
დი მიკელე (უდინეზე)
კომოტო (ტორინო)
ჯაკეტა (ტერამო)

კალიარი

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
მოდესტო (მონაკო, საფრანგეთი)
კამარატა (კატანძარო)
პანტანელი (კატანია)

პალერმო

მოვიდნენ
ადრიანო პერეირა (გრეშია)
მ. გონსალესი (რასინგი, არგენტინა)
ბუდანი (ატალანტა)
კოდრია (პერუჯა)
მანიერო (ბრეშა)
ვანუკი (ემპოლი)
დ. ანდერსონი (ანკონა)
ჯ. როსი (სიენა)
სანტანა (კიევო)
მორონე (კიევო)
დ. აბატე (ტარანტო)
ლაი (სალერნიტანა)
რინაუდო (სალერნიტანა)
ბრიენძა (პერუჯა)
კიარამიტარო (ლივორნო)
ფერი (ასკოლი)
მოდესტო (ასკოლი)
ძაკარდო (ბოლონია)
ფარიასი (ესტუდიანტესი, არგენტინა)

წავიდნენ
ნასტასე (ბოლონია)

ლივორნო

მოვიდნენ
პერნა (სალერნიტანა)

წავიდნენ
კ. ლუკარელი (ტორინო)
კიელინი (იუვენტუსი)
კიარამიტარო (პალერმო)
კანარზა (რეჯინა)

მესინა

მოვიდნენ
იანაგისავა (სამპდორია)
პასკა (სორა)
ძამპანა (ტერნანა)
კოპოლა (ბრინდიზი)
ბორიელო (მილანი)
დონატი (მილანი)
ბაიოკო (იუვენტუსი)
ძანკი (იუვენტუსი)

წავიდნენ
ბონეფოი (იუვენტუსი)
გუცმანი (კროტონე)
სოსა (უდინეზე)
გუცო (ჯენოა)
ტემელინი (სპალ)
პრინჩივალი (ტრიესტინა)
დე ჯორჯო (ფროსინონე)
რუსო (ფროსინონე)

ატალანტა

მოვიდნენ
სალა (კიევო)
პირი (ასკოლი)
კომანდინი (ჯენოა)
ინაჩიო პია (პავია)
ნატალი (ბოლონია)
როსინი (ბოლონია)
რივალტა (ვიჩენცა)

წავიდნენ
ბუდანი (პალერმო)
შმიტი (ბოლონია)
სარი (მილანი)
დელა როკა (ბოლონია)
გუარენტე (ვერონა)

ფიორენტინა

მოვიდნენ
დე ვეცე (ასკოლი)

წავიდნენ
ა. ლუკარელი (ბრეშა)
ლეონი (რეჯინა)
თ. მანფრედინი (უდინეზე)
გრაფიედი (მილანი)
კერუბინი (ვიჩენცა)
ბისმარკი (ვადუცი, ლიხტენშტაინი)

გუშინ „ინტერის“ პრეზიდენტმა ჯაჩინტო ფაჟეტმა „სან სიროზე“ კიდევ ერთი არგენტინელი, ნიკოლას ბურდისო ჩაიყვანა

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
შვედეთი. ალსვენსკა. X ტური								
8 ივლისი								
21.00	155	ჰამარბი-ჰელსინგბორგი	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
21.00	156	იორებრო-გიოტებორგი	2,7	3,2	2,35	1,46	1,25	1,35
21.00	157	ტრელებორგი-ელფსბორგი	2,05	3,2	3,3	1,24	1,26	1,62
ნორვეგია. I დივიზიონი. XVI ტური								
11 ივლისი								
20.00	023	ჰაუგესუნდი-ალესუნდი	3,1	3,8	1,85	1,7	1,15	1,24
20.00	024	ჰიოდი-სანდეფიორდი	2,35	3,6	2,35	1,42	1,17	1,42
20.00	025	მანდალი-ბრინი	2,0	3,6	2,9	1,28	1,18	1,6
20.00	026	პორს გრენლანდი-სტარტი	4,2	4,0	1,6	2,04	1,15	1,14
20.00	027	რაუფოსი-მოსი	2,4	3,6	2,3	1,44	1,17	1,4
20.00	028	სკეიდი-კონგსვინგერი	2,25	3,6	2,45	1,38	1,17	1,45
20.00	029	სტრიომსგოდსეტი-ჰაინეფოსი	1,6	4,0	4,2	1,14	1,15	2,04
20.00	030	ტრომსდალენი-ვარდ ჰაუგესუნდი	2,0	3,8	2,8	1,31	1,16	1,61
ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XIII ტური								
8 ივლისი								
19.00	034	ალიანსი-ჰაკა	2,45	3,1	2,5	1,36	1,23	1,38
19.30	035	ინტერი-იარო	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
19.30	036	ლაჰტი-ტურკუ	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
19.30	037	როვანიემი-ჰიკ	5,6	3,6	1,5	2,19	1,18	1,05

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. IX ტური								
8 ივლისი								
23.15	045	ვიკინგური-გრინდავიკი	2,3	3,1	2,8	1,32	1,26	1,47
23.15	046	კეფლავიკი-ფრამი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
ირლანდია. პრემიერლიგა. XX ტური								
8 ივლისი								
22.45	054	დერი-შელბურნი	4,2	3,2	1,75	1,81	1,23	1,13
22.45	055	დუბლინი-ლონგფორდი	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36
9 ივლისი								
22.45	056	ბოჰემიანი-უოტერფორდი	1,7	3,2	4,6	1,11	1,24	1,88
22.45	057	დროგედა-სტ.პატრიკსი	1,95	3,1	3,5	1,19	1,25	1,64
ავსტრია. სუპერ თასი								
9 ივლისი								
22.30	115	გრაცერი-აუსტრია	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
უკრაინა. სუპერ თასი								
10 ივლისი								
18.00	117	დინამო-შახტარი	2,35	3,0	2,8	1,31	1,27	1,44

ამერიკის თასი 2004. ჯგუფური ტურნირი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
8 ივლისი								
02.30	005	კოსტა რიკა-პარაგვაი	4,0	3,2	1,8	1,77	1,24	1,15
04.45	006	ბრაზილია-ჩილე	1,45	3,8	6,5	1,04	1,18	2,39

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
8 ივლისი								
5005		კოსტა რიკა-პარაგვაი	4,6	2,05	2,3	1,41	1,53	1,08
5006		ბრაზილია-ჩილე	1,75	2,4	6,0	1,01	1,35	1,71

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
8 ივლისი			
5305	კოსტა რიკა-პარაგვაი	1,6	2,0
5306	ბრაზილია-ჩილე	1,7	1,9
9 ივლისი			
5307	კოლუმბია-ბოლივია	1,6	2,0
5308	პერუ-ვენესუელა	1,65	1,95

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
8 ივლისი										
5105	კოსტა რიკა-პარაგვაი	6,5	10,0	20,0	7,0	4,4	3,6	20,0	10,0	2,6
5106	ბრაზილია-ჩილე	1,9	12,0	30,0	3,5	5,0	11,0	20,0	11,0	11,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე უსოფი დაგებულად ჩაითვლება)

8 ივლისი			
5405	კოსტა რიკა-პარაგვაი	2,3	1,65
5406	ბრაზილია-ჩილე	1,3	3,4

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

8 ივლისი			
5205	კოსტა რიკა-პარაგვაი	1,6	2,0
5206	ბრაზილია-ჩილე	1,65	1,95

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბარად	II-ში
8 ივლისი				
5505	კოსტა რიკა-პარაგვაი	3,0	2,8	2,0
5506	ბრაზილია-ჩილე	3,0	2,8	2,0

ფორმულა 1 (დიდი ბრიტანეთი). 10 ივლისი (12.00)

8001 გამარჯვებული	8201 ექვსეული	8301 უსწრ. წრე
მ.შუმახერი ---------- 1,35	1,05 ---------- 1,02	1,4
ბარიკელო ---------- 6,0	1,6 ---------- 1,1	4,0
მონტოია ---------- 12,0	2,5 ---------- 1,2	7,0
ჟენე ---------- 25,0	6,0 ---------- 1,4	15,0
კულტჰარდი ---------- 20,0	4,0 ---------- 1,3	15,0
რაიკონენი ---------- 20,0	4,0 ---------- 1,3	15,0
ტრული ---------- 10,0	2,0 ---------- 1,15	7,5
ალონსო ---------- 10,0	2,0 ---------- 1,15	7,5
ბატონი ---------- 8,0	1,75 ---------- 1,1	6,0
სატო ---------- 15,0	3,0 ---------- 1,2	12,0
ფიზიკელა ---------- 100,0	20,0 ---------- 3,0	40,0
მასა ---------- 150,0	20,0 ---------- 3,5	50,0
უებერი ---------- 100,0	20,0 ---------- 3,0	40,0
კლიენი ---------- 150,0	20,0 ---------- 3,5	50,0
და მატა ---------- 150,0	20,0 ---------- 3,5	50,0
პანისი ---------- 150,0	20,0 ---------- 3,5	50,0
ჰაიდფელდი ---------- 250,0	50,0 ---------- 7,0	75,0
პანტანო ---------- 300,0	50,0 ---------- 7,0	75,0
ბრუნი ---------- 500,0	100,0 ---------- 12,0	100,0
ბაუმგარტნერი ------ 500,0	100,0 ---------- 12,0	100,0

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%

CROCO BOOKMAKERS კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

წყალბურთელები სიზმარში



გეხსომებათ ის წვერჭაღარა ანეკდოტი, დირექტორმა მოცურავეებს თუ წყალბურთელებს აუზი რომ აუშენა და დაპირდა, თუ ჭკვიანად მოიქცევით, წყალსაც ჩაგისხამთო. ჩვენი წყალბურთელები და წყალში მხტომელები მთელი ამ გაჭირვებული ცხოვრების განმავლობაში ნამდვილად ჭკვიანად იქცეოდნენ და ბოლო დროს იმდენი ქნეს, იმდენჯერ გაგვახარეს, რომ იმედიც გაგვიღვივეს

ბავშვებთან ერთად ჭკვიანად იქცეოდნენ მათი მშობლებიც, რომლებიც ნემსის ყუნწში ძვრებოდნენ და შვილების შეჯიბრებებზე გასამგზავრებელ ფულს ხშირად საკუთარი ჯიბიდან აკოწიწებდნენ. ბოლოს მაინც დაიჩივლეს, მორჩა, მეტი აღარ შეგვიძლიაო.

დაიჩივლეს და, მგონი, მათი გასაჭირიც დასრულდა. ყოველ შემთხვევაში, ასე განუცხადა თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელმა დავით ოქიტაშვილმა და სპორტის დარგში მისმა მოადგილე გიორგი უდესიანმა მათთან შეკრებილ წყალბურთელებს.

მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა წყალბურთელებმა რუსეთის პირველობა მოიგეს და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იმარჯვეს, მათ მიმართ უდიდესი ყურადღება გამოიჩინა საქართველოს პრეზიდენტმა, რომელმაც მთელი გუნდი მიიღო და ყოველმხრივ მხარდაჭერას დაპირდა.

ახლა ამ მხარდაჭერას ხედავენ ჩვენი წყალბურთელებიც, წყალში მხტომელებიც და მოცურავეებიც, რომლებიც 100 პროცენტით ფინანსდებიან.

დავით ოქიტაშვილი ამბობს, თბილისის მთავრობა და ჩვენი სამსახურიც ყველაფერს ვიღონებთ, რომ ოთხი წლის მერე პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენმა წყალბურთელებმაც იასპარეზონ, წყალში მხტომელებმაც და ორმა-სამმა მოცურავემაცო.

ამ ამბავმა ძალზე გაახარა მათთან შეკრებილი წყალბურთელები, რომლებიც გუშინ გამთენიისას ვარშავაში თანატოლთა საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრნენ.

ოქიტაშვილმა მათ ისიც ახარა, რომ ვარშავიდან ჩამოსვლის მერე თითოეული მწვრთნელებთან ერთად, „არენას“ ფირმის სრულ კომპლექტს მიიღებს, რომელშიც იქნება საცურაო კოსტიუმიც, პირსახოციც, ხალათიც, ქოშებიც, ქუდებიც და სხვა წვრილმანებიც, რაც ჩვენს გუნდს აქამდე არ ღირსებია.

წყალბურთელთა და მათ მწვრთნელთა შორის მართლაც განსაკუთრებული ოვაცია გამოიწვია ამბავმა, სექტემბერში მალტაში გამართული ევროპის პირველობიდან რომ დაბრუნდებით, თორმეტი წლის უქმად მდგომი ვაკის საცურაო აუზი წყლით სავსე, განახლებული და სახეცვლილი დაგხვდებათო.

მანამდე კი ჯერ ვარშავის საერთაშორისო ტურნირია.

— ეს ტურნირი უკვე ტრადიციულია და მასში მონაწილეებს ინდივიდუალურად იწვევენ — გვიამბობს საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელი *იოსებ მაისურაძე* — იქ მხოლოდ ძლიერებს იწვევენ, ჩვენ კი ასეთად აქამდე, ბუნებრივია, არ მიგვიჩნევენენ. ეს საქმე, შეიძლება ითქვას, ჩვენმა მეორე მწვრთნელმა ირაკლი კიკალიშვილმა და ვეტერანმა წყალბურთელმა დავით რურუამ თავიანთი პირადი კონტაქტების წყალობით გაჩარხეს, როცა პეტერბურგში ევროპის წყალბურთის ფედერაციის სხდომას დაესწრნენ. ვფიქრობ, ვარშავაში თავს არ შევირცხვენთ და ამის მერე ტურნირის ორგანიზატორები პირადი კონტაქტების გარეშეც სიამოვნებით მიგვიწვევენ.

ვარშავის ტურნირში საქართველოსა და მასპინძელ წყალბურთელთა გარდა გერმანიის, ბულგარეთისა და ბელარუსის გუნდები გამოვლენ. შეჯიბრება წრიული სისტემით გაიმართება და ეს ტურნირი დიდად შეუწყობს ხელს ჩვენს წყალბურთელებს ევროპის ახალგაზრდული პირველობის საფინალო მატჩებში უკეთ გამოსასვლელად.

აქვე მთელი გუნდის სახელით დიდი მადლობა მინდა ვუთხრა დავით ოქიტაშვილს და გიორგი უდესიანს, რომელთა თანადგომის წყალობით, პირველად მთელი ამ წლების განმავლობაში, ისე მივდივართ შეჯიბრებაზე, რომ არც გასამგზავრებელი ფულის მოძიებისთვის გვივლია კარდაკარ, არც ბილეთების ასაღებად, არც სავიზო პრობლემების მოსაგვარებლად და არც პასპორტების ასაღებად — ამბობს იოსებ მაისურაძე — იქაც, ვარშავაში ჩასულებს ავტობუსი დაგვხვდება და მიგვიყვანს პირდაპირ დაჯავშნულ სასტუმროში, სადაც სამჯერადი კვება გვექნება. ამას რომ გეუბნებით, თავი სიზმარში მგონია. მათივე წყალობით, ვარშავიდან სტამბოლის საერთაშორისო ტურნირზე გავემგზავრებით და იქაც ანალოგიურ პირობებში ვიცხოვრებთ. სტამბოლში გაცილებით მეტი და ძლიერი გუნდები იქნებიან, მათ შორის: სერბეთი-ჩერნიგორიის, უნგრეთის, იტალიის, ესპანეთის, ამერიკის, რუსეთისა და სხვა ქვეყანათა წარმომადგენლები. ეს ტურნირი ოთხ დღეში უნდა დასრულდეს და ამიტომ, ეტყობა, ყოველდღე ორ-ორი თამაში მოგვიწევს. ამის მერე, მალტაში გამგზავრებამდე, თბილისში უკრაინის ერთ-ერთი უძლიერესი წყალბურთელთა გუნდი გვეწვევა, რომელიც სპარინგპარტნიორობას გაგვიწევს. ეს საქმე 90 პროცენტით გადაწყვეტილია, მაგრამ თუ ჩაიშალა, მოსკოვში მოგვიწევს გამგზავრება. ამის მერე ევროპის პირველობისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნებით.

ავთანდილ ჭყვიშელი

ბესიკ ლიპარტელიანი

ხმები საქართველოს ეროვნული ნაკრების იტალიაში წაუსვლელობის შესახებ გადაჭარბებული აღმოჩნდა. დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდი აუცილებლად ჩავა იტალიაში და ამხანაგურ ტურნირშიც მიიღებს მონაწილეობას, თუნდაც „ოკეანგაღმელები“ არ ჩამოვიდნენ. ისე, ამის შანსიც დიდია — ბეჭედდასმული მხოლოდ ზაზა ფაჩულიას იტალიაში ჩასვლაა, ნიკა ცქიტიშვილისა და ვლადიმერ სტეფანიას საკითხი კი ჯერაც გადასაწყვეტია. ეს ამბავი გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე გვამცნო კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა, სადაც ჟურნალისტებმა ისიც გაიგეს, თუ რა წვლილი მიუძღვის მერიის სპორტის სამსახურს ჩვენი საკალათბურთო ნაკრებებისა და არა მარტო მათ დაფინანსებაში...

პრესკონფერენციას კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან ერთად ქალაქის მერიის კულტურისა და სპორტის უფროსები, დავით ოქიტაშვილი და გიორგი უდესიანი დაესწრნენ

ამერიკელი ჩამოვა, ქართველები ვნახოთ...

გიორგი უდესიანი ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრები, რომელიც დღეს დილით ესპანეთში ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ გაემგზავრა, მერიის სპორტის სამსახურმა დააფინანსა. ჩვენ დავაფინანსეთ ასევე კადეტთა ნაკრებიც, რომელიც ახლა ევროჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში თამაშობს საბერძნეთში, მაგრამ მხოლოდ კალათბურთი არაა ჩვენი სამსახურის პრიორიტეტი, სპორტის ყველა ჩვენში განვითარებულ სახეობას ვეხმარებით. ამ თვენახევარში, რაც ქალაქის ხელმძღვანელობა შეიცვალა, ჩვენ უკვე 500 ათასი ლარი გავიღეთ ამა თუ იმ ნაკრებისა თუ სპორტსმენის დასაფინანსებლად. წყალბურთელებს, რომლებმაც სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს ამ ბოლო დროს, ჩვენ ვაძლევდით მგზავრობის თანხას. წყალში და ბატუტზე ხტომა, თავისუფალი ჭიდაობა, შვიდკაცა რაგბი, ძიუდო — ამათ გარდა კიდევ არაერთი სახეობა დავაფინანსეთ, მომავლისთვის კიდევ უფრო მეტს ვგეგმავთ. რაც გაკეთდა, თბილისის პრემიერის ბიძინა ბრეგაძისა და თავად მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის დახმარების გარეშე ვერ მოხერხდებოდა. დიდი მადლობა მათ.

ამის შემდეგ ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რა წვლილი მიუძღვის ყველაფერ ამაში სპორტის დეპარტამენტს, რომელსაც სწორედ ფედერაციათა დაფინანსება ევალება...

— მე არ ვიცი, რა ხდება სპორტის დეპარტამენტში, ჩვენი სამსახური სრულიად გამიჯნულია ამ უწყებისგან. დეპარტამენტმა სოლიდური ამბიციის ნაკრებები მაინც დააფინანსოს, ბავშვთა სფეროს ჩვენც მოვუვლით. რაც აქამდე გავაკეთეთ, ამას არავინ გვავალდებულებდა. კანონით, სწორედ სპორტის დეპარტამენტის კომპეტენციაში შედის დაფინანსების საკითხები. მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო, უარი გვეთქვა მართლაც პერსპექტიული გუნდებისთვის, რომლებმაც მადლობა იმით გადაგვიხადეს, რომ ამა თუ იმ ტურნირებზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს.

— გამოდის, რაც გააკეთეთ, მერიის კეთილი ნების შედეგია. მომავალშიც ასე აპირებთ გაგრძელებას, თუ სპორტის დეპარტამენტს გაურიგდებით?

— რა თქმა უნდა, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის გარკვევის გარეშე არ ვაპირებთ მომავალში საქმიანობას. უნდა გავმიჯნოთ სპორტის ის სახეობები, რომლებსაც ჩვენ და სპორტის დეპარტამენტი ვუპატრონებთ. ეს ყველაფერი მალე ოფიციალურ სახეს მიიღებს.

შემდეგ *ბესიკ ლიპარტელიანმა* ითხოვა სიტყვა და კალათბურთელთა ეროვნულ გუნდზე ილაპარაკა...

— იტალიაში 20 ივლისს წავალთ, ეს უკვე გადაწყვეტილია. შესაძლოა, უძლიერეს შემადგენლობას თავი ვერ მოვუყაროთ, მაგრამ წასვლით აუცილებლად წავალთ. ვახტანგ ნაცვლიშვილის თამაში გამორიცხულია. მან გუშინ ფილტვის ოპერაცია გაიკეთა, ნბა-ში მოთამაშეთაგან კი ზაზა ფაჩულია აუცილებლად შემოგვიერთდება. სათუოა ვლადიმერ სტეფანიასა და ნიკა ცქიტიშვილის ჩამოსვლა.

— არადა, ცოტა ხნის წინ თითქოს პრობლემა არ იყო ამ მხრივ...

— კი, მაგრამ სტეფანიას მუხლი ისევ აწუხებს, ეგონა, ივლისისთვის საბოლოოდ მოირჩენდა, მკურნალობის პროცესი კი გაეწელა. თუ იტალიაში ვერა, სტეფანია II სექტემბერს ფინეთის ნაკრების წინააღმდეგ აუცილებლად ითამაშებს. ცქიტიშვილის გუნდის ხელმძღვანელობასთან კი ჯერაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, რათა „დენვერის“ საზაფხულო ლიგის ბოლო ორი მატჩიდან გაათავისუფლონ ნიკა და ის იტალიაში შემოგვიერთდეს. ვნახოთ, ჯერ არაფერია გადაწყვეტილი.

— ნაკრებში ამერიკელი გამთამაშებლის ჩამოყვანის საქმე როგორაა?

— არჩევანი შემონდ უილიამსზე შევაჩერეთ და მას იტალიაში ველოდებით, სადაც საბოლოოდ გადაწყდება ყველაფერი.

— საქართველოს მოქალაქეობას რის საფუძველზე აძლევთ შემონდ უილიამსს?

— პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე. ბატონი მიხეილ სააკაშვილი საქმის კურსშია და უკვე თანხმობაც მოგვცა უილიამსისთვის მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე. დაბრკოლება თითქმის აღარ არსებობს და ალბათ უილიამსი ჩვენი ნაკრების წევრი იტალიაშივე გახდება.

ირაკლი პერტაია



კომბლობოლა

ფედერერს რაქე და ყველი არ მოაჭლდჭგა

ALLIANZ SUISSE OPEN GSTAAD
გშტაადი. თიხნარი
საპრიზო 544 750 €

პირველი წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ტომას ბერენდი (გერმანია) 6:1, 6:1; შტეფან კუბეკი (ავსტრია) — ხუან კარლოს ფერერო (2, ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:4; რაინერ შუტლერი (3, გერმანია) — მიხელ კრატოხვილი (ბელგია) 6:4, 1:6, 6:3; მარკ როსე (შვეიცარია) — ანდრეი პაველი (5, რუმინეთი) 7:6 (7:5), 6:4; დავიდ ფერერი (6, ესპანეთი) — ტომას ბერდიხი (ჩეხეთი) 2:6, 6:3, 6:4; ივო კარლოვიჩი (ხორვატია) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 6:3, 6:7 (6:8), 6:3; ფლორიან მაიერი (გერმანია) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 7:5, 6:3; ფელიქს მანტია (ესპანეთი) — კრისტოფ როხუსი (ბელგია) 3:6, 6:2, 6:4

აჰა, დასრულდა ჩვენი ერთთვიანი ბალახობა და ცხორ-მეცხორემაც უკან, სათიხნარო კორტებზე გადაინაცვლა.

მსოფლიოს ყველა კლავიატურა და ობიექტივი ზედიზედ მეორედ გა-უიმბლდონზე-ჩემპიონებულ როჯერ ფედერერს მიჰყვა, ვინაც წლის საზეო ტურნირის მერე უმალ სამშობლოს მიაშურა და ახლა ჩოგანს იქაურ კურორტ გშტაადში აქნევს.

წლეულს უკვე ექვსი ტიტულის მომხვეჭ ბაზელელ ობობას — და თავისი მრავალჩოგნა და მრავალსტილა ბურთაობით ეს 22 წლის დავლათიანი ბიჭი სწორედ მეტოქეთა უთვალავ ბადეში გამხვევ ბაბაჭუას გვაგონებს — პირველ წრეში გერმანელი ტომას ბერენდი ერგო.

ოღონდ სანამ თავის მორიგ, 47-ე საამსეზონო გამარჯვებას მიითვლიდა, ტურნირის ორგანიზატორებმა მას ძღვნად ვეება ალპური საყვირი გადასცეს.

ექსპერტთა თათარიახნი განმარტების შემდეგ ფედერერმა საყვირს საჭირო ბგერები გამოაბღავლა და კორტზე შეკრებილი მილეთი კიდევ ერთხელ დაარწმუნა თავის ნიჭიერებაში. თუმცა მერე ჰალალად აღიარა, როცა იმავის გამეორება ფოტოობიექტივთა წინაშეც ვცადე, აღარაფერი გამომივიდაო. ჯამში კი კმაყოფილი ჩანდა: „როცა გავიგე, რომ ძროხის ჩუქებას აღარ მიპირებდნენ, გულზე მომეშვა. ორი უკვე მყავს და მესამე ნაღდად აღარ მინდოდა.“

ასეთი ზორბა საყვირით კი ალპებში ოდითგანვე ნახირს უხმობენ ხოლმე და ორგანიზატორებმაც ალბათ ასე გათვალეს, რომ ეს ინსტრუმენტი კომბლე როჯერს თავის მინინახირისთვის — შარშან იქვე ნაფეშქაშარი ჯულიეტასა და მის მიერ წლეულს მოგებული ბოჩოლასთვის გამოადგება...

რაც შეეხება საკუთრივ ჩოგბურთს, ფედერერმა, თითქოს ორკვირიანი უიმბლდონობა არც გადაეტანოსო, კორტზე კვლავაც აქილევსივით, მსუბუქად და კამაც-კამაც გაინავარდა და უსახელო გერმანელი მეტოქე სულ რაღაც 46 წუთში მოგუდა.

შეგახსენებთ, რომ როჯერი ტურნირის შარშანდელი ფინალისტია — მაშინ მან ასევე წარმატებული უიმბლდონის შემდეგ გშტაადში სატიტულე შეხლასაც უწია, მაგრამ იქ გამოცდილ ირჟი ნოვაკთან დათმო. საინტერესოა, წლეულს სანამდე მივა.

სხვაფრივ: იმ დროს, როცა ამქრის ზეგარდმო პირველოსანი ჯერ საყვირს, ხოლო მერე ტომას ბერენდს აყვირებდა, ტურნირიდან აოტეს მეორე ნომრად განთესილი და ტრავმიანობის გამო ჩვენი თვალთახედვის არეალიდან კარგა ხნის განმავლობაში დაკარგული ხუან კარლოს ფერერო. კოღოდ წოდებული ბასრი ესპანელი თმაცეცხლა ავსტრიელმა შტეფან კუბეკმა დააშამათა. ნამატჩევს ფერერო ამბობდა, რომ ამდენი ხნის უთამაშებლობამ და მოუგებლობამ თავდაჯერებულობა გაუბზარა და ვეღარაფრით ახერხებს თავისი თამაშის პოვნას.

დღის მეორე მოულოდნელობა კი მეხუთე ნომრად განთესილი ანდრეი პაველის გაგდება იქცა, თუმცა იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ პაველი მარკ როსემ გააგდო, მაშინ ეგ ამბავი აღარც ისეთ მოულოდნელობად გამოჩნდება. მერე რა რომ როსე 33 წლისაა და უკვე დიდი ხანია, ვეღარც ვარსკვლავებს კრეფს და ვეღარც ტუგრიკებს?! 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ჯერ ისე არ დაჩაჩანაკებულა, მშობლიურ საჩოგნეთში ერთი ბარაქიანად არ გააჭენოს ხოლმე.

SYNSAM SWEDISH OPEN
ბასტადი. თიხნარი
საპრიზო 375 750 €

პირველი წრე

გასტონ გაუდიო (2, არგენტინა) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:3, 6:1; ტომი რობრედო (5, ესპანეთი) — აგუსტინ კალიერი (არგენტინა) 4:6, 7:5, 6:4; ფერნანდო გონსალესი (6, ჩილე) — ლუის ორნა (პერუ) 6:3, 6:2; სანტიაგო ვენტურა (ესპანეთი) — იონას ბიორკმანი (7, შვედეთი) 6:2, 6:2; მარიანო საგალეტა (8, არგენტინა) — იოხიმ იოჰანსონი (შვედეთი) 6:4, 6:3; რაფაელ ნადალი (ესპანეთი) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 4:6, 6:4, 6:3

არგენტინელ გასტონ გაუდიოს ჩოგანმას შემდეგ აღარ გაექნია, რაც რომ ერთი თვის წინ პარიზულ სეფეთიხნარზე კარიერის პირველი სლემტიტული იშოვა. 25 წლის გაუჩომ საბალახსაფრო მინისეზონი ფეხის ტრავმის გამო გამოტოვა და კორტზე მაშინვე დაბრუნდა, როგორც კი ამქარმა კოინდრიდან ისევ თიხამიწაზე გადაინაცვლა. დაბრუნდა და — აგერ წარმოდგენილი ანგარიშებიდანვე ამოიკითხავდით — პირველ წრეში ღონივრად ავჯობა რუს ნიკოლაი დავიდენკოს.

ლევან კელაურაძე

ნუ გაეკიდეთ შვიდ კურდღელს

ექვსიც საკმარისია, ურჩევს ტორპი ფელპსს

ავსტრალიელმა მოცურავეებმა ათენის ოლიმპიური თამაშების წინ ბოლო საკონტროლო შეჯიბრება გამართეს. მართალია, მათი შედეგები დიდ ყურადღებას არ იმსახურებს, რადგან ყველა მოცურავე ჯერ შორსაა სპორტული ფორმის პიკისგან და ჯერ კიდევ მთელი დატვირთვით ვარჯიშობს, მაგრამ ბრისბენში გამართული ასპარეზობა სწორედ იმისთვის იყო ორგანიზებული, რომ შეემოწმებინათ წინასაოლიმპიადო მზადების დონე. მიუხედავად ამისა, ტურნირმა ჟურნალისტთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, ავსტრალიელი მოცურავეები ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესნი არიან და ამერიკელებთან ერთად ათენში სწორედ მათგან არის მოსალოდნელი ყველაზე მეტი მედლის მოპოვება

ჟურნალისტთა ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო გუნდის ლიდერმა იან ტორპმ.

ტორპი ათენში ექვს სახეობაში აპირებს გამოსვლას. ესაა 100, 200, 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა და სამი ესტაფეტა. ტორპს ერთ შეჯიბრებაში ექვსივე სახეობაში სხვა დროსაც გაუმარჯვია, მაგალითად, 2001 წელს ფუკუოკაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, მომდევნო წელს მანჩესტერში ჩატარებულ თანამეგობრობის თამაშებზე...

— მე იმთავითვე უარი ვთქვი ათენში კიდევ ერთ გაცურვაზე, რათა არ გავდევნებოდი ამერიკელი მარკ სპიცის მიუხეენის ოლიმპიურ თამაშებზე ნაჩვენებ შედეგს — 7 ოქროს მედალს — ამბობს ტორპი — ვიცი, რომ სპიტცის იმ ისტორიული მიღწევის გამეორებას აპირებს მისი თანამემამულე მაიკლ ფელპსი, მაგრამ მე მას ამას არ ვურჩევ. მაიკლი დიდი მოცურავეა, რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ მას ოლიმპიური თამაშებისთვის ამერიკელთა შესარჩევ შეჯიბრებაზე 11 სახეობაში წარმატება განუზრახავს. შესაძლოა, მან მართლაც 11-ივე სახეობაში გაიმარჯვოს, მაგრამ ოლიმპიური თმაშები მაინც სულ სხვაა და იქ განსაკუთრებით საღად უნდა შეაფასო შენი შესაძლებლობები. შვიდი ოქროს დევნაში შესაძლოა, კაცმა ექვსიც ვეღარ მოიპოვო — ასკვნის იან ტორპი.

უნდა დავეთანხმოთ ავსტრალიელს, რადგან გვახსენდება 1968 წლის ოლიმპიური თამაშები, სადაც მარკ სპიცი 7 ოქროს მოპოვებას აპირებდა, მაგრამ ბოლოს მეტოქეებმა მხოლოდ სამს დააჯერეს და ისიც ესტაფეტაში. მას მაშინ ძალები რომ არ დაექსაქსა, კიდევ ერთ-ორ გაცურვაში გაიმარჯვებდა. თუმცა, მომდევნო ოლიმპიადაზე სპიცმა წადილი მაინც აისრულა, რაც მანამდე და ვერც ამის მერე ვეღარავინ შეძლო.

ავთანდილ ბუკიშელი

მარკ სპიცი



იან ტორპი

მაიკლ ფელპსი

ტურ დე ფრანსი 2004

REUTERS არასიდან

გამარჯვებული US პოსტალი



ლენს არმსტრონგს ფინიშთან შერილ ჭროუ ელოდა

მე-4 ეტაპი. 6 ივლისი

კამბრაი — არასი

1. პოსტალი 1სთ 12წთ 3წმ
2. პონაკი +1წთ 7წმ
3. ბალეარსი +1წთ 15წმ

საერთო ჩათვლა

1. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) 14სთ 54წთ 53წმ
2. ჯორჯ ჰინჯაპი (აშშ, პოსტალი) +11წმ
3. ფლოიდ ლანდისი (აშშ, პოსტალი) +16წმ

არმსტრონგი გააყვითლეს

და აი, ლიდერის ყვითელი მაისურა ლეგენდარულმა ლენს არმსტრონგმა მოირგო. ტურ დე ფრანსის მიჯრით ხუთჯერ მომგები და ახლა აბსოლუტურ რეკორდსმენობაზე მოფიქრალი ამერიკელი მე-4 ეტაპის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, დაწინაურდა.

ბაგრამ არმსტრონგი ამ წარმატებას მხოლოდ საკუთარ თავზე ვერ აიღებს — მას ყვითელი მაისურა, ასე ვთქვათ, თანაგუნდელებმა, „იუ ეს პოსტალის" მრბოლებმა ჩააცვეს. საქმე ისაა, რომ ტურ დე ფრანსის 21 ეტაპში ერთი გუნდური რბოლა გამოერევა. თითო გუნდიდან ეტაპში 5 ველომრბოლი მონაწილეობს და გამარჯვებულიც თითოეულის მიერ ნაჩვენები დროის დაჯამებით ვლინდება.

კამბრაიდან არასამდე გასავლელი 64,5 კილომეტრი ყველაზე უმცირეს დროში „პოსტალის" ხუთეულმა განვლო და ყვითელი მაისურაც მათ ლიდერ არმსტრონგს ერგო.

ამ გუნდურმა რბოლამ გვარიანი ცვლილებები შეიტანა საერთო ჩათვლაში. მოწინავე ხუთეულში „პოსტალის" მრბოლები არიან, შემდეგ კი მე-4 ეტაპის მეორე ადგილზე გამსრულებელი „პონაკის" წევრები.

მომდევნო ეტაპი არმსტრონგისთვის 54-ე იქნება ტურდეფრანსულ კარიერაში და მას ლიდერის ყვითელი მაისურით დაიწყებს.

ირაკლი პერტაია

მსოფლიოს ჩემპიონატი

ლიბია, ტრიპოლი 18 ივნისი — 13 ივლისი

ფინალი პირველი ტანგი

მაიკლ ადამსი (ინგლისი) — რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) 0,5:0,5

შაჰად ლანჭეჯეული თეთრად დამთავრდება

რუსტამ კასიმჯანოვი და მაიკლ ადამსი

ფინალისტები აქამდე სამჯერ შეყროდნენ ერთმანეთს და სამივე პარტია ყაიმით დაესრულებინათ. გამონაკლისი არც ლიბიური პირველი საფინალო მატჩი ყოფილა და გამარჯვებული აქაც ვერ გამოვლინდა.

ეს შედეგი კი ალბათ, უფრო კასიმჯანოვს აძლევს ხელს, რადგან შავი ფიგურებით თამაშობდა და ახლა თეთრებით ადამსზე ერთით მეტი პარტია დარჩა სათამაშო. დროის ლიმიტითაც 24 წლის უზბეკისაა უპირატესობა. მან 46 წუთი იფიქრა, ხოლო 32 წლის ინგლისელმა — 54.

რაც შეეხება მატჩს. კასიმჯანოვმა სიცილიური დაცვით არჩია დებიუტი და საკუთარ ფლანგზე ფიგურების გადაწყობას შეუდგა. იერიშებით თავი არც ინგლისელს მოუკლავს, ერთიორი ფიგურა გაუცვალა მეტოქეს და მე-18 სვლაზე ყაიმს დასჯერდა.

გამარჯვებული გარდა ოქროს მედლისა 100 ათასი დოლარითაც დაჯილდოვდება, დამარცხებული კი 70 ათასს დასჯერდება.

ლაზა გეგეჭკორი

ხუანს მწვანე აუნთეს

რალფი ტოიოტაში გადაჯდა

ერთი კვირის წინ, საფრანგეთში ვარჯიშისას ნაავარიები ხუან-პაბლო მონტოია ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში ექიმებმა გულდასმით გასინჯეს. „უილიამსის" კოლუმბიელი მრბოლი კისრის და მხრის ტკივილს უჩიოდა. საბედნიეროდ, საშიში არაფერი ყოფილა და მკურნალებმა მას მომავალ კვირას სილვერსტოუნის ავტოდრომზე დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის გათამაშებაში მონაწილეობის ნება დართეს.

გაირკვა ინგლისში მონტოიას მეწყვილის საკითხიც. ხუანთან ერთად ამჯერადაც გაიჯირითებს „უილიამსის" სათადარიგო მძღოლი მარკ ჟენე, რომელმაც ერთ ეტაპზე უკვე შეცვალა ინდიანაპოლისში (აშშ) რბოლისას მძიმედ დაშავებული რალფ შუმახერი. არადა, სერ ფრენკ უილიამსი ახლა ჟენეს შეცვლასაც აპირებდა, რაკი საფრანგეთში მხოლოდ მეათე ადგილზე გავიდა. კანდიდატები კი გუნდის მეორე ტესტ-პილოტი ანტონიო პიცონია და ენტონი დევიდსონი იყვნენ.

საბოლოოდ გამოიკვეთა თავად რალფის სამომავლო პერსპექტივაც. პატარა შუმის „უილიამსთან" კონტრაქტი წლეულს ეწურება, თანამშრომლობის გაგრძელებაზე ლაპარაკს კი რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ამიტომაც 29 წლის მრბოლი სხვა გზას ეძებდა და მიაგნო კიდეც. იგი „ტოიოტაში" გადავიდა.

ეს ამბავი რალფმა საკმაოდ ორიგინალურად დაადასტურა ჟურნალ „ბუნტესთან" ინტერვიუში: „რამდენიმე ხნის წინ თქვენს ჟურნალში წავიკითხე ცნობა იმის შესახებ, რომ მე „ტოიოტაში" გადავდივარ. უნდა გითხრათ, რომ თქვენ არ სცდებოდით."

გუშინ ოფიციალურად გაფორმდა სამწლიანი ხელშეკრულება. „ტოიოტას" 60 წლის ბოსი ცუტომუ ტომიტა გაჩარხული საქმით კმაყოფილი იყო: „ჩემთვის დიდი სიამოვნებაა გამოგიცხადოთ, რომ რალფი 2005 წლიდან „ტოიოტას" მძღოლი იქნება. თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე მან თავი გამოიჩინა, როგორც სწრაფმა მრბოლმა და დარწმუნებული ვარ, მისი მდიდარი გამოცდილება დაეხმარება ჩვენს გუნდს. ჯერ არ გადაგვიწყვეტია, ვინ იქნება გაისად რალფის პარტნიორი. ჩვენ კმაყოფილი ვართ ოლივიე პანის და კრისტიანო და მატას საქმიანობით და ორივენი განიხილებიან, როგორც შუმახერის შესაძლო მეწყვილეები. ამ საკითხზე გადაწყვეტილებას სეზონის ბოლოს მივიღებთ."

ამბობენ, იაპონური სუპერკონცერნი რალფ შუმახერს ყოველწლიურად ოც მილიონ დოლარს გადაუხდისო, რაც ფორმულა 1-ში მეორე ჯამაგირი იქნება მისი უფროსი ძმის — მიხაელის ფანტასტიკური 35 მილიონის შემდეგ.

გია ახალაძე



ხუან-პაბლო მონტოია კვირას სილვერსტოუნზე გაიჯირითებს



რალფ შუმახერი სამი წლით „ტოიოტამ" დაისაკუთრა



5 რგოლის 41 ათასი მცველი

ათენის ოლიმპიურ ბაზებზე უშიშროების ღონისძიებები სულ უფრო მკაცრდება. საბერძნეთის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მონაცემებით, სტადიონებსა და სხვა სპორტულ ბაზებზე გაძლიერებული საპოლიციო პატრულირებაა. მალე დაიწყება უკვე აშენებული ან მშენებლობის დამთავრების პირას მისული ბაზების შემოწმებაც. 2 აგვისტოდან მკაცრად შეიზღუდება ოლიმპიური ბაზების მიმდებარე ტერიტორიაზე პირადი ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

ათენის ოლიმპიური ბაზების დასაცავად გამოყოფილია სპეციალურად მომზადებული 41 ათასი პოლიციელი, აგრეთვე საბერძნეთის საჰაპირო დაცვისა და სამხედრო მოსამსახურეთა პერსონალი.

ამას გარდა, ბერძნებს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დაეხმარება 11 ათასი ალბანელი პოლიციელი, რომელთაგან 6 ათასი საბერძნეთ-ალბანეთის საზღვარზე გამშვებ პუნქტს დაიცავს.

იტალიასთანაც...

ბერძნულ პირგოსში, კადეტთა ევროჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე საქართველოს ნაკრები ისევ დამარცხდა. ნიკო ჩერქეზიშვილის გუნდმა ლიტველებთან 27-ქულიანი მარცხის შემდეგ წუხელ შედარებით მოკრძალებული ანგარიშით წაგო. იტალიელებმა ქართველებს ყველა მეოთხედი მოუგეს და საბოლოოდ 71:54 იმარჯვეს. ჩვენს ნაკრებში ერთადერთი ნათელი წერტილი წინა მატჩში გაძევებული რიჩარდ მათიაშვილი იყო, რომელმაც 18 ქულას ტურნირისთვის სარეკორდო 21 მოხსნა დაურთო. დღეს ქართველები ჯგუფის ბოლო მატჩში სერბებს ხვდებიან.

REUTERS ვატერლოოდან

ვატერლოოდან

რახან ტურ დე ფრანსი ბელგიიდან იწყებს ფრანგეთისკენ, არ იქნებოდა გზად ის განთქმული ვატერლოო არ ყოფილიყო. ჰოდა, შეჯიბრის მესამე დღეს სწორედ ვატერლოოდან მიადგა ფრანგულ ვასკუელს გელოლაშქარი, რომელმაც ამ დღეს 210 კილომეტრი გაიქროლა. მუნდირები, ალბათ, გასაგებია.

ახალ კარში

დიდი მეკარე დომინიკ ჰაშეკი, რომელსაც ჰოკეის ლიგაში თამაშისას ნ-ჯერ მიუღია საუკეთესო დაბრკოლების ფეზანტ ტროფი, ორჯერ კი მთლად ექვსჯერ შეუნიღია, აბრუნდან „ოტავა სენატორზში“ ითამაშებს და ამიტომაც გვიღიმის კანადის დედაქალაქის პარლამენტის ბორცვიდან.



REUTERS ოტავიდან

REUTERS ბოსტონის კარლოდან

ღრმად

მონაკელი პიერ ფროლა ახლა იმას ცდილობს, რომ ხმელთაშუა ზღვაში ყველაზე ღრმად ჩაძღწევი კაცი შეიქნეს თავის წონით კატეგორიაში.
123 მეტრზე ჩაძირვა სწორედაც მისწრება იქნებოდა. ამ შეჯიბრში სპორტსმენმა სიმძიმეები უნდა მოიბას და ისე უნდა ჩაყვეს დაბლა, მერე ტვირთი მოიხსნას და წყალმა თავადვე დაუბრუნოს ზედაპირს.

პრიზის მოგებაზე

ასე ხარობს ალენ ჯონსონი, რომელმაც მძლეოსნობის ფედერაციის ზედიდი პრიზი მოიგო ლოზანაში. ამერიკელმა 13.05 წამში გაიქროლა 110 მეტრი თარჯებით.

REUTERS ლოზანიდან

REUTERS ბოსტონიდან

დრო ერთმანეთისთვის

ბეისბოლი ისეთი თამაშია, რომ მის მაცქერალ მიჯნურთ ერთმანეთისთვისაც გვარიანი დრო რჩებათ. მსახიობი მეტ დეიმონი და მისი ცოლი ლუსიანა ბაროსო ერთმანეთს ეყღურტულებიან, „ბოსტონ რედ სოქს“ და „ოკლენდ სელტიკსი“ კი კეტებს უჭნევენ ბურთს ბოსტონის ფინვეი პარკზე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge